რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 20 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნაბ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 64 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 64

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები:

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ძველ ფასებში უცვლელი დარჩება,
ფასის მომატება შეიძლება თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".
აგზ. და თანამშრომლებთ მხოლოდ ხელის მოწერას ნუ დააგზავნიან.

უბედური მშობლები: სერაპიონ პაიჭაძე მეუღლით, აცნობებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ერთად ერთი უსაყვარლესი შვილი

ალექსანდრე სერაპიონის ძე პაიჭაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ს. ჯვარცხმაში 20 მარტს დილით სამშაბათს.

გულ დამწვარი ჭირისუფლები: მამა ილარიონი, დედა საშა, დიდედა ესმა, ბიძიები მელიტონი, გაბრიელი და პეტრე, მამიდები: მარია, თებრო და ნინა—თურმანიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ 18 მარტს დილით 7 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი შვილი, მეორეს შვილის შვილი, ხოლო დანარჩენთა ძმის წული

თამარა ილარიონის ასული თურმანიძისა,

რომლის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 20 მარტს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან დღის 2 საათზე. (ელისაბედის ქუჩა № 167). (1—1)

დამზადებული ფეხსაცმელები და საძირე ტყავი სახლის კომიტეტებს.

ქალაქის გამგეობასთან არსებული სასურსათო განყოფილება წინადადებას აძლევს რაიონულ კომიტეტებს და სახლის დიდ ორგანიზაციებს, რაც შეიძლება დაჩქარებით გამოარკვიონ თუ რამდენი დამზადებული ფეხსაცმელები და საძირე ტყავი არის მათთვის საჭირო და აცნობონ ამის შესახებ ტყავის ბიუროს (ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩების კუთხე). ამასთანავე საჭიროა დაუყონებლივ წარადგინონ და ახელებულ ბიუროში განსაზღვრული თანხა ტყავის შესაძენათ.

(4—1) თფილისის ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

გამოვიდა და იყიდება ოგოლი მუშის წიგნი

„მომავალი"

(ლექსები და პოემები)

გამოცემა უშანგი ელიავასი. ფასი 4 მანეთი. წიგნის გავრცელების საქმე მინდობილი აქვს კანტორა „განათლებას" (ოლღას ქუჩა). ვინაიდან წიგნი ერთობ ძვირი დაჯდა, აგენტებს პროცენტები ცოტა ეთმობა. წიგნები ნისიათ არავის გაეგზავნება. (10—1)

20 მარტიდან იხსნება ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის და კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით ექიმების ე. მ. მძინაროვისა და ლ. მ. ნაზარეტიანისა. სიფილისი და ვენერიული ავათმყოფობათ. მ ხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე და საღამოს 4—8 საათამდე. ღარიბები უფასოთ. კვირაობით დილის 10—12 საათამდე. (24—2)

ექიმი ქალი

რ. გ. შიუკლ-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სახებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

## ამიერ-კავკ. საბჭოების წითელ გვარდ. ყრილობა

20 მარტს დანიშნულია ამიერ-კავკასიის საბჭოების წითელ გვარდიელთა პირველი ყრილობა.

ყრილობის მიზანია წითელ გვარდიელთა ერთნაირი ორგანიზაციის შექმნა.

მოწვევის წესრიგი და წარმომადგენლობა:

1) ყრილობაზე წარმომადგენლობის უფლება აქვთ როგორც ქალაქის, ისე სოფლების ყველა წითელ გვარდიას, რომლებიც შემდგარია საბჭოებთან ან რევოლიუციონურ აღმასრულებელ კომიტეტებთან. პარტიულ წითელ გვარდიელებს წარმომადგენლობის უფლება აქვთ. 2) წითელი გვარდია, რომელთა რიცხვი 50—100-მდეა გზავნის ყრილობაზე ერთ დელეგატს და თვითეული სრული ასეული თითო წარმომადგენელს. 3) წვრილი ერთეულები ერთდებიან.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) წითელი გვარდიის მიზანი და დანიშნულება, 2) ქვეყნის დაცვა და მასში წითელ გვარდიის მონაწილეობის მიღება, 3) ამიერ-კავკასიაში წითელ გვარდიის დაარსების ინსტრუქცია, 4) მუდმივი ჯარი, საყოველთაო მილიცია და წითელი გვარდია, 5) ცენტრალურ შტაბის არჩევა.

ყველა ეს კითხვები წინასწარ უნდა განიხილოს ადგილობრივ.

ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო სთხოვს ამხანაგებს დროზე გამოგზავნონ ყრილობაზე წარმომადგენლები.

ცნობების მიღებ შეიძლება შემდეგი მისამართით: თფილისი, სასახლე, წითელი გვარდიის შტაბი.

საორგანიზაციო ბიურო.

## სეიმის გარშემო

ამიერ-კავკასიის სეიმს ორი მხრიდან ემუქრებიან. მარცხნიდან ბალშევიკები, რომელთაც პარლამენტარიზმის საფეხურს თითქო უკვე გადააბიჯეს და ანარქო-სინდიკალისტებივით, მუშათა საბჭოების რესპუბლიკის დაარსებაზე ოცნებობენ. ნამდვილათ კი სახელმწიფოებრივ ცხოვრების არევ-დარევას ქმნიან და ანარქიას ასაზრდოვებენ.

მეორე მხრით სეიმს ებრძვიან მარჯვნიდან ყველა ჯურის ნაციონალისტები. განსაკუთრებით ავარჯიშებენ კალამს ამ მხრივ ქართველ ნაციონალ-დემოკრატები და სოც.-ფედერალისტები. პირველნი აშკარათ, გადაჭრით აღიარებენ, რომ სეიმის კანონმდებლობას არ სცნობენ და მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას დაექვემდებარებიან. მხოლოდ ამ უკანასკნელის გამოცემულ კანონებს მიიღებენ სავალდებულოთ. „დემოკრატ" სოც.-ფედერალისტები კი იმავე აზრს სიტყვათა მორევში ფარავენ და ვითომ-და დემოკრატიის და რევოლიუციის საკეთილდღეოთ სეიმის დაშლას და ეროვნულ მთავრობების შედგენას ცდილობენ.

რას მოასწავებს ეს?

ნუ თუ სეიმს არ აქვს მართლა ნიადაგი?

ბალშევიკების მტრული განწყობილება სეიმთან ჩვენ კარგათ გვესმის. ისინი ხომ დარღვევა-დანგრევის მოციქულებია. მათი დანიშნულება—ანარქიის შექმნაა. შემოქმედების, რაიმე ორგანიზაციული მთლიანობის შექმნა მათ არ უწერიათ. ამიტომ იგინი სეიმსაც ისე ებრძვიან, როგორც დამფუძნებელი კრება აითვალწუნეს და გარეკეს. ხელი არ უწვდებათ, თორემ არ დაიშურებდენ თფილისის მორწყვას ძმათა სისხლით და სეიმის გარეკას მისი შექმნილი მთავრობიანათ.

სულ სხვა აზრი და მიზანი აქვს ნაციონალისტების ბრძოლას. ეს უკანასკნელნი თავის ნაციონალისტურ გულისზრახვას თუმცა მალვენ, მარა იმდენათ უხერხულათ, რომ არავის ეჭვი არ შეუვა მათ ნამდვილ სულისკვეთებაში.

მათი მიზანი—რევოლიუციის კიდევ უფრო დაქუცმაცებაა. მათი მისწრაფება სხვადასხვა ერის დემოკრატიის ერთმანეთისგან განცალკევება და დასუსტებაა. ეს ერთათ ერთი გზა და საშუალებაა მათთვის თავის მიმქრალი გავლენის აღსადგენათ.

ამრიგათ მათი პარტიული დ კლასიური ინტერესები სავსებით ერთდებიან რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცნობილია, რომ რევოლიუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა—კლასთა ბრძოლაა. ვინც რუსეთის ფარგლებში გინდ ამიერ-კავკასიის ვიწრო კედლებში დაკვირვებია რევოლიუციურ მოძრაობის მსვლელობას, ადვილათ შენიშნავდა ერთ გარემოებას: ნაციონალური განცალკევება და რევოლიუციის დაშლა—ორი მხარეა ერთი და იმავე მოვლენის. იგინი ერთი მეორეს თან სდევს და ერთი მეორის ხელის შემწყობია. ეროვნული გამოყოფა ასუსტებს და შლის რევოლიუციურ ძალებს. და მეორეს მხრივ თვით იკვებება და საზრდოობს ამ დასუსტებით დ დაქუცმაცებით.

მაგალითი უკრაინის ამ მხრით შეიძლება კლასიკურ მაგალითათ ჩავთვალოთ. უკრაინამ პირველმა დაიწყო გამოყოფის პროცესი და შედეგათ მიიღო თვით უკრაინის განიავება ჯერ შინაურთა და შემდეგ გარეშე ძალებისაგან. რევოლიუცია არსებითათ ცენტრალისტურია. მისი ძლიერება კლასთა ბრძოლის გაძლიერებაშია, მისი უმწვერვალესი განვითარება, ეს მისი ძალების ერთ ცენტრში თავის მოყრაში იხატება.

აი ამიტომ რევოლიუციონური დემოკრატია ამიერ-კავკასიის მუდამ ცენტრის გამაგრებისაკენ მიისწრაფოდა, ამაში ხედავდა თავის სიძლიერის მთავარ გარანტიას. დ რაც უფრო საყურადღებოა, სწორეთ ამიტომ იგი ადგილობრივაც უფრო ძლიერი ხდებოდა. სწორი ხაზი ადგილობრივაც მეტ სიმტკიცეს აძლევდა მას. აი ამით აიხსნება ის, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ აქამდე შეირჩინა რევოლიუციური მოპოვებანი და საშუალება ანარქიასთან საბრძოლველად, მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი უკვე ერთიანათ ანარქიის ტალღებს დანებდა და მის უძლურებაში ლაფავს სულს.

საყურადღებოა ისიც, რომ ანარქიის მოციქულნი ბალშევიკები იმავე დროს ეროვნულ განთვითების და განშორების მოციქულათ მოგვევლინენ. ეს ორი მოვლენა რევოლიუციისათვის ერთ და იმავე ხასიათისაა თავის მნიშვნელობით და შედეგებით.

და ჩვენს ნაციონალისტებსაც ამ მიზეზით მოსწონდათ ბალშევიზმის ტრაფარეტები. ამიტომ უკრავდენ ხშირათ ტაშს მათ დამრღვეველ სტიქიას, და შეხაროდენ მათ გაძლიერებას. ხშირად თვითონაც ეხმარებოდენ რევოლიუციის დამღუპველ მოქმედებაში.

აქედან დასკვნა: ნაციონალისტთა მისწრაფებაა—რევოლიუციის დასამარება ამიერ-კავკასიაში. ეს კი დამღუპველია დემოკრატიისთვის. ეს წაართმევს მას ყველა იმ უფლებებს, რომელნიც მას ბრძოლით მოუპოვებია. ამიტომ იგი ამ გზას ვერ გაყვება. მისი ინტერესები, ინტერესები მისი ძალების კონცენტრაციის, ინტრესები მისი სოლიდარობის განურჩევლად ეროვნებისა—მოითხოვს ამ ტენდენციის წინააღმდეგ გალაშქრებას.

ნაციონალიზმის შემუსვრა—ეს ამიერ-კავკასიის გამაგრება და გაძლიერებაა, როგორც სახელმწიფოებრივათ, ისე რევოლიუციის მხრივ. ამიტომ სეიმიც თავის სხდომებს უმეტესათ ამ სენთან ბრძოლის ანდომებს. და რამდენათ იგი შესძლებს მის შესუსტებას, იმდენათ გაამაგრებს თავის არსებობის საფუძველს, იმდენათ გააძლიერებს დემოკრატიას. მეორე მხრით სიძლიერე და რევოლიუციური ენერგია დემოკრატიის—აი საფუძველი და სიმტკიცე სეიმ.ს. იგი ერთიანათ ამ ძალას ეყრდნობა.

## კომუნისტთა პარტია (ბალშევიკები)

სოციალდემოკრატია ამიერიდან განწმენდილია ყველა შემოსიულ ელემენტებისაგან. მისი მთავარი შეუგუებელი ელემენტი, მუდამ გათიშვის და განხეთქილების შემომტანი მუშათა კლასის მთლიანობაში, ამიერიდან სავსებით განშორდა სოციალ-დემოკრატიას. ბალშევიკებმა მონახეს თავის საკუთარი ქანდარა. მარქსიზმის სახელის მოფიცარნი — დღეს აშკარათ გამოეთიშენ მარქსიზმს, უარყვეს იმ პარტიის სახელწოდებანიც, რომელსაც ულირსათ ატარებდენ დ თავის საკუთარ ქერქში მოიკალათეს. ბალშევიკურ გაზეთებს, „პრავდას" და სხვ., რომელნიც რუსეთიდან მივიღეთ უკვე მოუხსნია სახელწოდება „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის" და მიუღია სახელი, „კომუნისტური მუშათა პარტიის". ეს სახელი სავსებით შეეფერება იმ შინაარს, იმ ანარქო ბლანკისტურ მეთოდს ბრძოლისა და ორგანიზაციისა, რომელსაც ისინი აწარმოებდენ.

მათგან ამ სახელის მიღება შემთხვევითი მოვლენა არაა. ლენინმა, ჯერ კიდევ რუსეთში დაბრუნების ხანაში სოციალ დემოკრატია მძორათ გამოაცხადა და მისი პროგრამა, რომელმაც მილიონ მუშებს აუხილა თვალები და უჩვენა გზა კლასობრივი ბრძოლისაკენ, დაძველებულათ, დახავსებულათ.

მართალია ეს პროგრამა დღესაც ასულდგმულებს და საბრძოლველათ იწვევს მთელი განათლებული კაცობრიობის მუშათა კლასს. ამ პროგრამის ქვეშ დგანან გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი და სხვა მუშები. ამ პროგ. აღიარებენ როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე ფრთები სოციალდემოკრატიის და გარდა ლენინისა არავის აზრათ არ მოსვლია ამ პროგრამის უკუგდება და მის ნაცვლათ ანარქიზმის შემოტანა. ეს მხოლოდ ისეთ ჩამორჩენილ მხარეში შეიძლებოდა, როგორიც რუსეთია, სადაც წვრილ ბურჟუაზიულ ტენდენციებს ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს, ხოლო რევოლიუციის სტიქია წვრილბურჟუაზიულ რადიკალიზმს ასაზრდოებს. ცნობილია, რომ ეს რადიკალიზმი ყველგან პირველათ ყოვლისა მაგარ ფრაზებში იხატება და პრაქტიკაში კი წვრილ-მეშჩანური სპეკულიაციის და მეწვრილმანურ ტენდენციების წინაშე წამოჩოქებას ემსახურება.

სწორეთ ასეთია ბალშევიკების თეორია და პრაქტიკა დღეს რუსეთში. იგი სიტყვით „ჭეშმარიტ სოციალიზმს" ქადაგებს, რომელიც მარქსმა თავის კომუნისტურ მანიფესტში ასე სასტიკად დაგმო, როგორც წვრილბურჟუაზიული ოცნება. საქმით კი იგი ამ წვრილბურჟუაზიის წვრილმან მსუნაგობას ემსახურება. დანგრევა, დაყოფა-დანაწილება ყველაფრის, რასაც კი ხელი მოხვდება—აი ამ რეაქციონურ სოციალიზმის ნამდვილი შინაარსი. და სახელი კი მას რაც შეიძლება მყვირალა უნდა ქონდეს. დღეს სოციალ-დემოკრატიზმი უკვე ვერ ემსახურება ასეთ მიზანს, მასსას უნდა ახალი სახელი იმავე საქმის, ე. ი. დაყოფა-დატაცების „იდეურ" სამოსელში გასახვევათ. იგი ამ მიზნით პირწმინდა ანარქიზმისკენ იხრება—კომუნისტობას ეტრფიალება. ბალშევიზმის დემაგოგები და მასსის ფეხის ამყოლნი ხედვენ ამას და მყისვე გამოაქვთ არქივიდან ლენინის ძველი ტეზისები, აწეპებენ მათ ახალ სახელს და ამით კვლავ ჰფიქრობენ გაანარქისტებულ მასსას დაეწიონ. ეს დაღი ბალშევიკებისა და ანარქისტების სასაცილო იქნებოდა, რომ მას ასეთი ტრაღიკული შედეგი არ მოქონდეს მრავალტანჯული რუსეთის ხალხისა და რევოლიუციისთვის. ბალშევიზმი გაკოტრდა პრაქტიკულ შემოქმედებაში, გაკოტრდა იდეურათ. და, როგორც გაკოტრებულ ვაჭარს სჩვევია, ფირმა გამოიცვალა.

მარა შეგნებული ნაწილი მუშათა კლასისა, ავანგარდს და ხელმძღვანელს პროლეტართა მოძრაობისას, ეს ახალი „ვევესკა" ვერ მოატყუებს. იგი თავის ნაცად სოციალ-დემოკრატიულ გზას არ გადაუხვევს და ამ ავანტიურისტ-მედაღეებს გარიყულს დასტოვებს.

ბალშევიზმის უკანასკნელი ნაბიჯი—ეს მართლა უკანასკნელი ნაბიჯია, რომელსაც მოჰყვება დაცემა ბალშევიზმის.

შეგნებული მუშათა კლასი ვალდებულია შეეცადოს, რომ ამ დაცემას არ მოჰყვეს გასრესა და დაცემა თვით მუშათა მასსის, რომელიც მათ ლოზუნგებს ასე გატაცებით მისდევდა დღემდე. ამ მასსის ჩამოშორება გაკომუნისტებულ ბალშევიკებისაგან და მათი კვლავ მარქსიზმის დროშის ქვეშ დაყენება—აი მორიგი ლოზუნგი მოწინავე მუშების.

სოციალდემოკრატია ამიერიდან ერთია—ესაა სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია მენშევიკების, რომელთაც რეაქციის და რევოლიუციის ქარტეხილში ერთნაირი გამბედაობით და შეურყევლობით შეინახეს წმინდა დროშა მუშათა კლასის, და ამ პარტიის გარშემო უნდა შემოკრბენ ყველა მუშები.

მოსული ცნობებით, რუსეთის მუშათა კლასი უკვე ერკვევა გამაბრუებელ ლოზუნგებიდან და უბრუნდება ნაცად სოციალდემოკრატიულ გზას. ადგილობრივი მუშები, რომელნიც ამ გზას ადგენ დღემდე, ახლა კიდევ უფრო დარწმუნდებიან თავის პოზიციის სისწორეში.

ბალშევიკები საბოლაოთ განშორდენ სოციალდემოკრატიას.

ამით სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია გაიწმინდა ანარქისტულ ელემენტებისაგან.

გაუმარჯოს მათ, ვინც შერჩა ამ პარტიის უმწიკვლო დროშას.

## პრესა

„პაპულაი შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილათა, უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვხოცო შიმშილითა". ასეთ კილოზე მღერის დღეს „სახალხო საქმე", გაზეთი სოციალისტ ფედერალისტებისა. იგი შეიარაღებულა სეიმის წინააღმდეგ და საომრათ იწვევს ეროვნულ საბჭოს. ამიერ-კავკასიის გაერთიანება—ის ქალაქია, რომლის შიმშილით ამოხოცვა განუზრახავს ამ ჩვენი დროის პაპულებს.

„ეროვნულმა საბჭომ უნდა სთქვას უკანასკნელი სიტყვა, თუ რა არის ის საქართველოში... ან დღეს, ან არასოდეს...

ეროვნულმა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს დღევანდელი რთული მდგომარეობა მთელი ჩვენი ქვეყნისა და აშკარათ სთქვას, სეიმს და ეხლანდელ მთავრობას არაბუნებრივი პოზიციები უჭირავთ, რომ თფილისში უნდა იყოს საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულება და ქართული მთავრობა, ხოლო არ უნდა იყოს რაღაც კომბინაცია და ქიმერა".

აი ამ ქიმერას უპირებენ დამხობას ჩვენი ქვეყნის დონკიხოტები. და სამაგიეროთ საქართველოს რესპუბლიკის ცალკე გამოყოფაში ხედავენ ხსნას. ერთი სიტყვით ამ პოლიტიკოსების აზრით, რაც უფრო დავსუსტდებით და დავქუცმაცდებით, მით უფრო იოლათ გავიმარჯვებთ.

ოსმალეთის ფაშებსაც ხომ ასეთი სურვილი აქვთ, მათაც ხომ ასე უნდათ ამიერ-კავკასიის დაქსაქსვა, რომ მაზე უფრო იოლათ გაბატონდენ?

რაკი ჩვენი ფედერალისტებიც ამ აზრის არიან, არ ჯობია „ქართველი პარტიის" სახელი მოიხსნან და ფაშების პარტია დაირქვან?

მაშინ მათ პაპულაობას რეალური საფუძველი მაინც მიეცემა ოსმალეთის ხიშტის სახით.

* * *

თედო ღლონტს, რომ ყველაფერი უკუღმა ეჩვენება ეს დიდი ხანია ცნობილია. ახლა მას მორიგი ყირამალა დამდგარი სურათი წარმოსდგომია თვალწინ: „ჩვენი ძალით კი არ არის აქაური რევოლიუცია გადარჩენილი, არამედ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ისტორიული პირობებით". ასეთია ახალი ფილოსოფია. რევოლიუციის მსვლელობის კანონები თურმე გეოგრაფიაში უნდა ეძიო. სოციოლოგია, ძალთა განწყობილება და სხვა ასეთები ეს სულ ცუღლუტი მეცნიერების მოგონილია. აი თედო ღლონტმა ამ ცუღლუტებს შეუტყო, და გამოამზეურა კიდეც მათი სიყალბე. სამაგიეროთ თავის გენიალური თეორია მოგვცა. და ამ თეორიიდან გენიალური დასკვნაც გააკეთა. საჭიროა საქართველოს დამოუკიდებელ მთავრობის შექმნა, თურმე აჭარაც კი ამ დღისთვის იბრძვის დღეს რუსთა მხარეზე... განა ჭეშმარიტათ გენიოსური გეოგრაფია არ არას? იკითხეთ და დასტკბით.

## მთლიანობის აუცილებლობა

ამიერ-კავკასიის დღევანდელი საბედისწერო მდგომარეობა აუცილებლათ მოითხოვს ადგილობრივ ერთა თანხმობით მოქმედებას. ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერთა მჭიდროთ შეკავშირება და თავდაცვის მიზნით ერთსულოვნათ ამოძრავება—აი აუცილებელი პირობა, რომ შესაძლებელი გახდეს ოსმალეთის იმპერიალისტების ალაგმვა და რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების შენარჩუნება. ეს თავისუფლება, რომლითაც დღეს სარგებლობენ ამიერ-კავკასიის ერები, არის რეალური ფაქტორი, რომელიც ქმნის ნიადაგს ადგილობრივ ერთა სოლიდარობისა. ამ თავისუფლების მნიშვნელობა დღეს ყველა ერთათვის აშკარაა, ყველამ იცის, რომ განხორციელება ისეთი საარსებო რეფორმების, როგორიც არის მაგ. მიწის რეფორმა, შეუძლებელი გახდება, თუ ჩვენ რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლება დავკარგეთ. სერგეი მესხის დებულებას, ერთათ დგომით ავშენდებით, ცალ ცალკე დგომით დავიქცევით,—არასოდეს არ ჰქონია ისეთი რეალური, ღრმა შინაარსიანი მნიშვნელობა, როგორც დღეს. წინათ ჩვენც დესპოტიზმის უღელს ვატარებდით. რუსეთის დემოკრატიასთან ერთათ ბრძოლამ ჩამოაშორა ადგილობრივ ერებს ეს მძიმე მონობის უღელი და მით გარდუვალი უფსკრული გათხარა ჩვენსა და დესპოტიურ ოსმალეთს შორის. სრულიათ თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებსაც საშუალება მოგვეცა ჩვენს თავს ჩვენვე ვუპატრონოთ, საკუთარი ხელით გამოვსჭედოთ ჩვენივე ბედი—ახლა ოსმალეთი გვიპირებს მონობის უღლის დადგმას, რაც მომასწავებელია ჩვენი განადგურებისა და დაღუპვისა. ამას შესძლებს „ავადმყოფი ადამიანი"—ოსმალეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავივიწყეთ ჩვენი ინტერესები, თუ სავსებით ვერ ჩავსწვდებით თავისუფლებას მნიშვნელობას და განვახორციელებთ სერგეი მესხის დებულების მეორე ნაწილს, ე. ი. ცალ ცალკე დავდგებით. მაშინ ჩვენ აუცილებლათ მოგველის დაქცევა და განიავება, ხოლო თუ ჩვენ ვიმოქმედებთ ერთათ, თანხმობით, თუ ჩვენში განმტკიცდება სოლიდარობის გრძნობა, ჩვენს მწყობრ, მთლიან რაზმების ფოლადის კედელზე აუცილებლათ დაიმსხვრევა ოსმალეთის იმპერიალისტების მისწრაფებანი.

ეს კარგათ იცის ოსმალეთმა, იცის რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობას, ადგი-

ლობრივ ერთა სოლიდარობას აქვს მათი ინტერესებიდან გამომდინარე რეალური საფუძველი, რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლებით განმტკიცებული. ოსმალეთის იმპერიალისტებმა კარგად იციან, რომ ისინი თავის მიზანს ვერ მიაღწევენ, თუ ბოლომდის დაცული იქნა ადგილობრივ ერთა ეს თანხმობა. ამიტომ ცდილობენ ისინი უთანხმოება, განხეთქილება ჩამოაგდონ ადგილობრივ ერთა შორის—ციხე შიგნიდან გასტეხონ. ამ მხრით ჩვენში უკვე გაჩაღებულია მუშაობა, ამით აიხსნება ანარქიის გაძლიერება და მართალი იყო ირ. წერეთელი, როცა სეიმის ტრიბუნიდან განაცხადა, ანარქიასა და ღალატს შორის დღეს არ არის განსხვავებაო. ანარქია ამიერ-კავკასიის პირობებში ხელს უწყობს ადგილობრივ ერთა შორის დამოკიდებულების გამწვავებას.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ოსმალეთის აგენტების ასეთ მისწრაფებებს. იგი მთელი ძალ-ღონით უნდა შეეცადოს ადგილობრივ ერთა შორის თანხმობისა და სოლიდარობის დაცვას, და როცა ადგილობრივი ნაციონალისტებიც თავის მოქმედებითა და აგიტაციით ხელს უწყობენ შეგნებულად თუ შეუგნებლად ამ სოლიდარობის დარღვევას, ჩვენ არ შეგვიძლია მათაც არ გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა. როცა ბ. კ. თუმანოვი, ქართველ თავად-აზნაურობის სულის კვეთების გამომხატველი და გ. ახლიევი, ეს ერთგული დამცველი ოსმალეთის იმპერიალიზმისა შეხმატკბილებული გამოდიან „ვოზროჟდენიე"-ს ფურცლებზე და ცდილობენ გათიშონ ადგილობრივი ერები, დემოკრატიამ მათაც უნდა მოსთხოვოს სასტიკი პასუხი. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ყოველგვარ მოქმედებას, რაც ხელს უწყობს დღევანდელ საბედისწერო მომენტში ადგილობრივ ერთა შორის დამოკიდებულების გამწვავებას. ამ მოსაზრებით ვებრძვით ჩვენ ს. ფედერალისტების მოთხოვნილებას დღესვე მოხდეს ტერიტორიალური გადამიჯვნა და შესდგეს ნაციონალური მთავრობებიო. ს.-ფედერალისტებს არ უნდათ გაიგონ, თუ რა შეხედულებით ვხელმძღვანელობთ ჩვენ ამ შემთხვევაში. ჩვენ ვითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას, ვხედავთ, რომ საშინელ კატასტროფის წინაშე ვიმყოფებით, ჩვენს ფიზიკურ არსებობას განადგურებით ემუქრებიან. და აი ასეთ პირობებში მთელი ჩვენი ძალღონე, ყოველივე საშუალებები და ზომები მიმართულია ჩვენი არსებობის დაცვისაკენ. ისეთი სადაო და მწვავე საკითხის გადაჭრა, როგორიც არის ტერიტორიალური გადამიჯვნის საკითხი, დღესვე ჩვენ მავნებლათ მიგვაჩნია, ვინაიდან იგი კიდევ უფრო გაამწვავებს ადგილობრივ ერთა შორის ისედაც გამწვავებულ დამოკიდებულებას.

ჩვენი ინტერესები კი მოითხოვს ადგილობრივ ერთა ურთიერთობამ არ მიიღოს არა ნორმალური ხასიათი. ჩვენ უნდა შევეცადოთ მთლიანობის დაცვას, თანხმობისა და სოლიდარობის განმტკიცებას, რომ დავიცვათ თავისუფლება და თავიდან ავიშოროთ ოსმალეთის დესპოტიზმის უღელი.

ვ. ნიკურაძე.

# მობილიზაციის კანონპროექტი

17 მარტის კრებაზე სეიმს წარუდგინეს ამიერ-კავკასიის მთავრობის დეკრეტის პროექტი სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ. სეიმმა ეს პროექტი თავდაცვის კომისიას გარდასცა განსახილველათ. დეკრეტში აღნიშნულია შემდეგი:

1) განსაცდელში მყოფ სამშობლოს დასაცავათ ყველა ის, ვინც ვალდებულია სამხედრო ბეგარა მოიხადოს და დაბადებულა 1889 წლის 1 იანვრიდან 1899 წლის 1 იანვრამდე, უნდა გამოცხადდეს მახლობელ სამხედრო საკრებულოში, სადაც დანიშნვენ რომელიმე ჯარის ნაწილში განურჩევლათ ეროვნებისა ექვსი თვის ვადით.

2) ეს დეკრეტი გავრცელდეს ყველა იმათზე, რომელნიც დაბადებული არიან 1888 წლის იანვარს შემდეგ და უმსახურნიათ: არტილერიაში, საპიორების და რკ. გზის ჯარებში, და აგრეთვე ვრცელდება ტელეფონისტებზე, ტყვიის მფრქვეველთა მსროლელებზე, ნაღმის მსროლელებზე, მფრინავებზე, მჭედლებზე, ფერშლებზე და სხვა სპეციალისტებზე, რომლებიც საჭირონი იქნებიან სამხედრო უწყებისთვის.

3) ეს დეკრეტი ვრცელდება ყველა იმათზე, რომლებიც დაასვენებლათ არიან სახლში დათხოვნილი. მათ რიცხვში, რომლებიც ავადმყოფობის გამო არიან დათხოვნილნი.

4) ვისაც ამ დეკრეტის თანახმად უწევს სამხედრო სამსახურში შესვლა, არავითარი შეღავათი არ მიეცემა ოჯახურ მდგომარეობის მიხედვით.

**შენიშვნა.** ეს დეკრეტი ვრცელდება იმ პირებზეც, რომელნიც დაბადებულნი არიან 1894 წლიდან 1899 წლამდე. და არ ყოფილან ჩარიცხულნი ჯარში პირველ ხარისხის შეღავათის გამო.

5) სამხედრო სამსახურიდან თავისუფალნი არიან: ა) მილიციაში რკინის გზაზე, ფოსტა-ტელეგრაფში, ტრამვაიში, საზოგადო წყალსადენებში, ელექტრონის სადგურებზე, ნავთის მრეწველობაში, მაღაროებში, სტამბებში და წისქვილებში მომუშავე მოსამსახურენი; უკეთუ ჯარში გასაწვევნი აქ მსახურებდენ 1917 წლის 1 ოკტომბრიდან და ბ) დუხაბორები.

6) ყველა ჯარში გასაწვევთ ანაწილებენ ჯარის სხვადასხვა ნაწილებში კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდლის განკარგულებით, რისთვისაც იმ ადგილებში, სადაც ეს პირნი უნდა მიიღონ შტაბისაგან იქნებიან დანიშნულნი სათანადო კორპუსებიდან მიმღებნი.

7) ყველა ჯარში გასაწვევს თან უნდა ჰქონდეს სამი დღის საგზალი.

8) ყველა ჯარში გასაწვევი ვალდებულია გამოცხადების დროს თან მოიტანოს ჯარიდან წაღებული ან ისე შეძენილი ვინტოვკა და პატრონები.

9) მობილიზაციის საწარმოებლათ საჭირო თანხა ამიერ-კავკასიის მთავრობის განკარგულებით ადგილობრივმა ხაზინებმა უნდა გასცენ.

10) გაწვევის პირველი დღე იქნება ამა წლის 26 მარტი.

11) დოკუმენტების შემოწმება და უკეთუ ვინმე არ გამოცხადდა დანიშნულ დროს და დაიმალა, ამის შესახებ ცნობების მიწოდება ევალებათ: დაწესებულებებში და წარმოებებში მოსამსახურეთა შესახებ. ამ დაწესებულებების ადმინისტრაციას მობინადრეთა შესახებ, სახლის პატრონებს (სახლების გამგეებს)

12) ვინც თავის ნებით არ გამოცხადდება აღნიშნულ დროს ჯარში და სამხედრო სამსახურს გაექცევა, მას ძალათ ჩარიცხავენ ჯარში და ვადის გათავების შემდეგ ერთი წლით სატუსაღოში ჩასვამენ.

13) ვინც ამ დეკრეტის მეორე სტატიის მოთხოვნას არ შეასრულებს სამი თვით იქნებიან დატუსაღებულნი.

ამ კანონ პროექტს სეიმი განიხილავს 20 მარტს.

# კანონი

**ჩამორთმეულ მიწების პატრონთა სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ.**

ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ 1918 წლის 7 მარტს მიღებულ კანონის შესავსებათ, რომლითაც განისაზღვრება მემამულეთა ხელში დატოვებულ მიწების ნორმა და მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარების ზომები, დადგენილ იქნას:

1) სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებს და, სადაც ასეთები არ არის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულთ უფლება ეძლევათ მიწების ჩამორთმევის დროს ჩამოართვან მემამულეებს ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, თუ ეს საჭიროთ დაინახეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცვისა და განვითარებისათვის გარდა იმისა, რაც საჭიროა თვით მემამულესთვის დატოვებულ მიწის დასამუშავებლათ.

2) ჩამორთმეულ ინვენტარში მემამულეს მისცემენ სასყიდელს, რომელიც განისაზღვრება მიწათ-მოქმედების მინისტრის მიერ დადგენილ წესით.

3) საადგილ-მამულო კომიტეტებს ან მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულებს შეუძლიათ ჩამორთმეული ინვენტარი ან თვითონ დაიტოვონ და ან გადასცენ იმ მიწის მუშებს, რომელებიც საჭიროებას განიცდიან, საკუთრებათ ან დროებით განსაზღვრულ ფასებში.

4) ყოველ იმ შემთხვევების დროს, როდესაც ინვენტარის რეკვიზიციას ახდენენ, სამაზრო კომიტეტები ვალდებული არიან დაწვრილებითი აღწერით წარუდგინონ ცნობა საგუბერნიო კომიტეტს და თან ისიც უნდა აცნობონ, როგორ გაანაწილეს ეს ინვენტარი.

5) ეს კანონი ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღიდანაც მას სეიმი მიიღებს.

# კავკასიის ფრონტი

15 მარტი.

შავი ზღვის პირად ცვლილება არ მომხდარა.

მტერთან სროლის დროს დაიჭრა პრაპორშჩიკი ჰელიძე.

ჩაქვის ხეობაში სოფ. ხალასთან „ჩეტნიკებთან" სროლა ჰქონდა ჩვენს რაზმს.

სარაყამიშის მიმართულებით მტრის მზვერავები შეეცადენ მოახლოვებოდენ ხან-დერეს, მაგრამ ჩვენმა რაზმმა მათ ზიაკისაკენ დაახევია.

კარაკურტიდან 7 ვერსის მოშორებით სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ეგუნ-გასსანი.

ჩვენი მზვერავები სოფ. კარაკილისამდე და ზარაბხანამდე მივიდენ. ეს სოფლები მდებარეობენ კარაკურტიდან—პირველი სამხრეთ-დასავლეთით 18 ვერსის მოშორებით, მეორე—სამხრეთ-აღმოსავლეთით, 15 ვერსზე.

კარაკილისის რაიონში—ყარსიდან 30 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით ჩვენს რაზმს სროლა ჰქონდა „ჩეტნიკებთან".

სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

—

როგორც „ორიზონს" ატყობინებენ სარაყამიშის მიმართულებით სომხის ჯარების ნაწილებმა დაიბრუნეს ბაშკეი და ბერდუსი და მიიწევენ ოლთისისაკენ.

17 მარტი.

ჩვენმა მზვერავებმა შემდეგი გამოარკვიეს:

ართვინის მიმართულებით აჭარლებმა დაიკავეს და გამაგრებას აპირობენ სოფ. მაჭახელის პირის რაიონში.

ჩაქვის ხეობაში აჭარლებმა დაიკავეს სოფ. ჩაქვისთავი.

სარაყამიშის მიმართულებით, ბარტუსის რაიონში, ოსმალები და ქურთები წინ მოიწევდენ კიზილკის ტყეში და დაიკავეს ბარდუსი და ზაკიში.

ალაშქერთის რაიონში ბაიაზეთიდან გაგზავნილი მზვერავები კარაკილისამდე მივიდენ, მაგრამ ოსმალთა ჯარების რეგულიარული ნაწილები არ აღმოუჩენიათ.

# ომი

18 მარტს თფილისში რადიოთი შემდეგი ცნობა მოვიდა:

**საფრანგეთის ცნობა:** მორილ და ლისილის ფრონტზე გუშინ გაჩაღებული ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა. ბრძოლა სასტიკი ხასიათისა იყო და სწარმოებდა 60 კილომეტრის სივრცეზე. მიუხედავათ იმისა, რომ გერმანელებს დიდი ზარალი მივაყენეთ, მაინც სასტიკი იერიშებით მოდიოდნენ ჩვენზე. საფრანგეთის ჯარები ზოგჯერ კონტრ-იერიშით მიდიოდნენ მტერზე და გერმანელების გაცოფებულ იერიშებს იგერიებდენ. ბრძოლის მთავარი ასპარეზი იყო ამ რაიონში ორვილიე, პლე მოლი, პლერიე ფეროსი. ეს სოფლები ხელიდან ხელში გადადიოდა. გერმანიის დივიზიები, რომლებიც პლიმონში და პარკში იყვნენ გამაგრებული, საფრანგეთის ჯარებმა კონტრ-იერიშით გაანადგურეს. საფრანგეთის ჯარებმა ბევრ ადგილებში დაიკავეს წინანდელი პოზიციები, საიდანაც ზარბაზნებით აიძულეს გერმანელებს უკან დაეხიათ. გერმანელებმა მოკლულები მრავლათ დასტოვეს. გერმანელებს ამ რაიონში დიდი ზარალი მოუვიდათ.

**გერმანიის ცნობა:** დასავლეთის ფრონტზე დიდი ბრძოლა გრძელდება. გერმანელები იმარჯვებენ. ამ გამარჯვებამ შვეიცარიის, ჰოლანდიის და შვეციის ბირჟებზე გამოიწვია გერმანიის ქაღალდების ფასის აწევა, მოკავშირეთა ქაღალდების ფასები დაეცა.

# ჩრდილო კავკასიის ამბები

ინგუშებსა და კაზაკებს შორის ბრძოლის განახლებამ საფრთხეში ჩააგდო სასურსათო საქმე. ამის გამო ადგილობრივ მთავრობამ ჩრდილო კავკასიაში გაგზავნა საგანგებო დელეგაცია, რომლის წევრმა ის. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება სეიმის, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის და ქალაქის საბჭოს ს.-დემოკრატიულ ფრაქციების შეერთებულ სხდომაზე 18 მარტს.

ჩვენ—ამბობს მომხსენებელი—გავემგზავრეთ კავკავში 11 მარტს. გზაში ჩვენი დაცვა იკისრა სამმა ინგუშმა. კავკავში ბალშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ჩვენი ავტომობილები. სამი დღის შემდეგ ძლივს დავიბრუნეთ ავტომობილები, ბალშევიკები აპირებდენ სხვაფერი საღებავით შეეღებათ ჩვენი ავტომობილები, რომ ისინი არ დაებრუნებიათ ჩვენთვის. თერგის ოლქის მცხოვრებთა ყრილობამ აირჩია ბალშევიკური მთავრობა. ეს მთავრობა 3 დღის წინ ჩავიდა კავკავში, როგორც მენშევიკების მთავრობა მცხოვრებლებმაც ისე მიიღეს ისინი, როგორც მენშევიკები. მართლაც, მთავრობაში ოთხი მინისტრია მენშევიკი, მაგრამ, დღეს, ალბათ, ბალშევიკობენ. ამ მთავრობას გაეგზავნა დელეგაცია ინგუშებთან და კაზაკებთან, მაგრამ დელეგაციას სროლა აუტეხეს, ერთი დელეგატა მოჰკლეს. მთავრობამ გაგზავნა მეორე დელეგაცია. მე საჭიროთ ვცანი ამ დელეგაციასთან ერთად მუშაობა. მე წავედი ბალშევიკების საბჭოში. გავაცანი მათ ჩვენი მიზანი. ისინი მიესალმენ ჩვენს განზრახვას. მთხოვეს გამეცნო მათთვის, თუ რა ხდება ამიერ-კავკასიაში. მე გავაცანი მათ ჩვენი შეხედულება რევოლიუციისა და ომის შესახებ, სეიმის მუშაობის, მიწის კანონის და სხ. შესახებ. აგრარულ კითხვამ ბევრი დააინტერესა. მათ ეგონათ, თურმე რომ ჩვენ მთელი მიწა დაუტოვეთ მემამულეებს და როცა გაიგეს, რომ 7 დესეტინაზე მეტი ჩამოვართვით მათ, გაუკვირდათ, აქ-იქ გაისმა ხმები, „არც ისე კონტრ-რევოლიუციონერები ყოფილანო.

ჩემი მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ რაღაც მოსაზრებით არ გახსნა კამათი, თუმცა სხვები მოითხოვდენ ამას. მთხოვეს ამიერ-კავკასიამ დაუთმოს მათ რამდენიმე ავტომობილი, აეროპლანი, ზარბაზანი და სხ.

მეორე დღეს ჩვენ წავედით იქ, სადაც ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენ მივედით კაზაკებთან და ოსებთან. მეორე დელეგაცია გავგზავნეთ ინგუშებთან. თუ შევსძლებდით ზავის ჩამოგდებას, უნდა გვეცნობებია ერთი მეორესთვის თეთრი დროშის საშვალებით. კაზაკებმა გვითხრეს,—სანამ არ გავჟლეტთ ინგუშებს, ბრძოლას თავს არ გავანებებთო. დღეს რომ მოდით, სად იყავით მაშინ, როცა ინგუშები ჩვენ გვაწუხებდენო. კაზაკების პოლკოვნიკმა სთქვა: ერთი კაციც არ უნდა დავტოვოთ ინგუში ცოცხალიო. მთავარ შტაბში კაზაკების პოლკოვნიკმა გვითხრა, ჩვენ რომ დავთანხმდეთ მორიგებაზე, ხალხი არ დაგვეთანხმება და შესაძლებელია თვითგაგვასამართლონ ამისთვისო, თვით ხალხთან არ მიშვებდენ, მე მაინც გადავსწყვიტე მოვლაპარაკებოდი თვით კაზაკებს, მაგრამ მათი შეკრება არ მოხერხდა. სროლა გრძელდებოდა, მაგრამ თურმე ისროდენ კაზაკები და არა ინგუშები. ინგუშები თურმე კარგათ შეხვდენ დელეგაციას. საღამოს მოხდა ოსებისა და ინგუშების წარმომადგენელთა კრება. მათ განაცხადეს, რომ მზათ არიან მორიგდენ. შუღლის გამომწვევი მიზეზი, ეს აგრარული საკითხია. კაზაკები შეადგენენ მცხოვრებთა ერთ მეხუთედს და ფლობენ მიწის სამ მეოთხედს. ინგუშებს კი მიწა არა აქვთ. ბრძოლაში ინგუშებმა აჯობეს, მაგრამ მათ სხვებზე უფრო სურდათ მორიგება. მორიგების პირობათ ჩვენ წამოვაყენეთ ტყვეებისა და ალყა-შემორტყმულ სოფლების განთავისუფლება. ამ პირობებს ორივე მხარემ მოაწერა ხელი. მეორე დღეს უნდა შეკრებილიყვნენ ხალხის წარმომადგენლები და შეწყვეტილიყო სროლა, დღეს მაცნობეს კავკავიდან წარმომადგენელთა კრება შესდგა, ხოლო სროლა არ შეწყვეტილაო. ჩვენ ვერაფერს ვერ გავხდით. იქ ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონურ პროვოკაციას აქვს ადგილი. კაზაკები და ოსები ჩაეწერენ ბალშევიკებათ, რომ ისინი თავის წინააღმდეგ არ აემხედრებიათ. მათ მაგალითს მიბაძეს ინგუშებმაც. ეს ნამდვილი პრაქტიკული ბალშევიზმია. ბალშევიკების ლიდერები ამბობენ, ესენი ყველა კონტრ-რევოლიუციონერებია და ჩვენ თვითონ გვეშინია მაგათიო. ბალშავიკურმა ბრბომ ალყა შემოარტყა აფიცრების საერთო სადგომს. ატყდა სროლა. საღამომდის ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. ბრბომ წინადადება მისცა აფიცრებს, თუ იარაღს აიყრით, უვნებლათ გაგიშვებთო. აფიცრები დასთანხმდენ. მაგრამ როცა ისინი მოდიოდენ მატარებლით თავის სახლში, გზაში დახვრიტეს, როგორც ამბობენ, 28 კაცი.

მე დავესწარი თერგის ოლქის მცხოვრებთა ყრილობას. აქ ს.-რევოლიუციონერების, მენშევიკების და ბალშევიკების ბლოკმა თავი შეიკავა, როცა მთავრობის შემადგენლობას უყრიდენ კენჭს. მხოლოდ ახლათ მოვლენილ ბალშევიკების ხმით იქნა არჩეული მთავრობა. მე მთხოვეს აქ არ გამეწია მათთვის კრიტიკა იმ სახით, როგორც წინა დღით საბჭოს წევრთა კრებაზე. მეც ამ შემთხვევაში მივესალმე ყრილობას ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიის სახელით. ამან ტაში გამოიწვია, რევოლიუციონური დემოკრატია ყოფილა ამიერ-კავკასიაშიო. ფრთხილათ გავაკრიტიკე ბალშევიკების მოქმედება და გავაცანი მათ ჩვენი ტაქტიკა. ამაზე ყველა მომესალმა. მე ვამბობდი, რომ რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს საბჭოების არსებობას, როგორც რევოლიუციონურ ორგანოებისას, რომლებიც გამოხატავენ მშრომელ კლასების ინტერესებს და იმავე დროს დამფუძნებელ კრების არსებობასაც, რომელიც საკანონმდებლო ორგანოა ყველა მცხოვრებთათვის. და აი, როცა რუსეთში დარჩა მხოლოდ საბჭოები, რევოლიუციაც დამარცხდა. ადგილობრივი მენშევიკები ბალშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მათ ორგანიზაციაც არა აქვთ. მოვიწვიე ყრილობის მენშევიკების ფრაქციის წევრთა კრება, ველაპარაკე მათ ჩვენი და ბალშევიკების ტაქტიკის შორის არსებულ განსხვავებაზე, ისინი დაგვპირდენ, რომ დაიცავენ წმინდა მენშევიკურ ტაქტიკას. გვთხოვეს დრო გამოშვებით გავგზავნოთ იქ ჩვენი წარმომადგენელი.

რაც შეეხება სასურსათო საქმეს, საქართველოს სამხედრო გზა საფრთხეშია როგორც ოსების, ისე ინგუშების მხრით. ინგუშებმა მოითხოვეს გზის დასაცავათ თვეში 2 ათასი მანეთი, 500 ვინტოვკა, 20 ათასი პატრონა, ტყვიის მფრქვევლები და სხ.

ჩვენ უნდა ავიღოთ საკუთარ ხელში გზის დაცვა კავკავამდე, ამ აზრის არიან ბალშევიკებიც. ასეთი დადგენილება მიუღია ყრილობასაც.

საჭიროა საკუთარი ტრანსპორტი, ფული და სპეკულიანტებთან ბრძოლა.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

— მთავრობის თავმჯდომარე ევ. პ. გეგეჭკორი 17 მარტს გაემგზავრა ქუთაისში. თავის მოვალეობის ასრულება დაავალა ნ. რამიშვილს, მხოლოდ სამხედრო მინისტრის თანამდებობას შეასრულებს გენერალი ოდიშელიძე.

— ამიერ-კავკასიის მაზრების კომისარების საყურადღებოთ აცხადებს საზოგადოებრივ თავდაცვის კომისია, რომ რადგანაც ხშირათ სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოდიან და იარაღს სთხოვენ კომისიას, მაზრის კომისარებმა უნდა შეადგინონ სია იმ სოფლებისა, სადაც არ მიუღიათ იარაღი და აგრეთვე რამდენათ საჭიროებას შეადგენს შეიარაღება ამა თუ იმ სოფლისა. კომისარებმა უნდა გამოუცხადონ ყველას, რომ იარაღის შესახებ თხოვნები მაზრის კომისარებს უნდა გადაეცეს. უკანასკნელნი კი აღძრავენ შუამდგომლობას საზოგადოებრივ თავდაცვის კომისიასთან.

— სად. დოვლიარიდან მალახინი ატყობინებს მთავრობას: მატარებელი № 112, რომელშიაც ლტოლვილები იყო, შეაჩერეს თათრებმა ძეგამსა და დოვლიარის შუა. ყველა გადმოხვეწილნი და რკინის გზის მოსამსახურენი გაძარცვეს. სამგზავრო მატარებლის № 111 მოსამსახურეებმა უარი განაცხადეს გაყოლოდენ მატარებელს. საჭიროა მატარებელი № 108 ძეგამში გააჩეროთ. ძეგამის მოსამსახურენი დიდ შიშს განიცდიან. საჭიროა სასწრაფოთ გამოგზავნოთ ჯავშნიანი მატარებელი.

— თფილისის სადგურზე აღარ გაიყიდება ბილეთები და არც ბარგს მიიღებენ შემდეგ სადგურებისას: შაქარლო-შამხორის, ალაბაშლის, ზაზალის, დალმამეტის, კუროკ-ჩაის, გერანის, მინგეჩაურის, ევლახის და მალაისის.

— ქალაქის სასურსათო გამგეობას მოსამსახურეთა შენახვა თვეში 70 ათასი მანეთი უჯდება. გადაწყვეტილია შტატების შემცირება 50 პროცენტით. სასურსათო კომიტეტის უფროს მოსამსახურეებმა მოისმინეს რა მოხსენება ქალაქის გამგეობის წევრისა პოპოვისა, საჭიროთ სცნეს შტატების შემცირება დაუყონებლივ განახორციელონ.

— **სასურსათო საკითხის გარშემო.** 18 მარტს ამხ. გ. მახარაძის თავმჯდომარეობით მოხდა სეიმის, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის და ქალაქის საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციების შეერთებული სხდომა. განსახილველი იყო საკითხი, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული მცხოვრებთა სურსათით უზრუნველსაყოფათ. ამხ. ის. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება ჩრდილოეთ კავკასიის ამბების შესახებ, რომლებიც მჭიდროთ შეკავშირებულია სასურსათო საკითხთან. მოხსენება გააკეთა აგრეთვე დ. პოპოვმა, რომელმაც მოითხოვა პურის იმ ფასათ გაყიდვა, რამდენათაც იგი თვით ქალაქის თვითმართველობას უღირს. ნ. ელიავამ გააცნო დამსწრეთ ქალაქის გამგეობის შეხედულება ამ საკითხის შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინეს: 1) საჭიროა საქართ.-სამხედრო გზის დაცვა თავის ხელში აიღოს ამიერ-კავკასიის მთავრობამ; 2) არ იქნას გადიდებული პურის ფასი; 3) მოხდეს თფილისის მცხოვრებთა სამ კატეგორიათ დანაწილება და ამისდა მიხედვით დაწესდეს პურის ფასი; 4) დაწესდეს მქონებელ კლასებზე პურის გადასახადი. დაადგინეს აგრეთვე მოეწყოს ამიერ-კავკასიის სასურსათო გამგეობა.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია კრება მეორე რაიონის მესამე საუბნო კოლლექტივის რ. ს. დ. მ. პ. ბიუროს კიოსკში.

— დღეს დღის 2 ნახ. საათ. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკ. შენობაში (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია ერ. საბჭოს სახალხო მეურნეობის სექციის სხდომა. განსახილველია სასწრაფო მიმდინარე საკითხები.

— დღეს, 20 მარტს საღამოს 7 საათზე ქალაქის საბჭოში დანიშნულია სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკები) ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კრება. დღის წესრიგია: წესდება კავშირისა, არჩევნები პროფესიონალურ საბჭოს კავშირში, არჩევნები მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტში, ბიუროს დამატებითი არჩევნები, ქალ. ერთ მთლიან კოოპერატივის დაარსება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ველიამინოვის ქუჩაზე № 11 შესდგება ქართველ ტეხნიკურ საზოგადოების კრება. ინჟ. გრ. გიგეჭკორი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: ბორჯომის მამულის მრეწველობის მდგომარეობა. დასწრება შეუძლიანთ არა წევრებსაც.

— ქართველ სტუდენტთა სამედიცინო წრე დღეს, საღ. 5 საათზე, ნიშნავს ქართველ სტუდენტთა სამედიცინო წრის მთარგმნელთა ცენტრის კრებას ქართულ გიმნაზიაში (წრის ოთახში). სხვა წევრებსაც, რომელთაც სურთ სთარგმნონ, ვსთხოვთ მობრძანდენ.

# თავდაცვა გარეშე მტრისაგან

**ბათუმი.** 8 მარტს მიხეილის ციხის არტილერიის მესამე როტის ჯარისკაცებს, სადაც უმეტესად გურული მოხალისეები არიან, ევსტუმრა ამ.-კავკ. სეიმის წევრი რაფ. ჩიხლაძე და თფ. მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი ვლ. მგელაძე. მათ დაათვალიერეს ჩვენი ყაზარმა და შემდეგ სავარჯიშო მოედანზე გაიმართა მიტინგი.

ვრცელი და მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა რაფ. ჩიხლაძემ. ის ვრცლად შეეხო დღევანდელ მომენტს. შემდეგ ის დაწვრილებით შეეხო აჭარა-ქობულეთთან ჩვენს დამოკიდებულებას და სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ ხვალ აჭარაში მივემგზავრებით, თუმცა ჯერ დანამდვილებით არ ვიცით თუ ისინი, ჩვენს შეკითხვაზე რას გვიპასუხებენ, რადგან ის მხარე მივარდნილი კუთხეა, სადაც მეტი გასავალი აქვს პროვოკაციას, მაგრამ რაც არ უნდა სთქვან, ჩვენი ვალია დიდი სიფრთხილით მოვექცეთ საქმეს. საჭიროა ყოველივე ნაბიჯის დაკვირვებით გადადგმა, რომ ჩვენ ჩირქი არ მოგვეცხოს. დღეს ჩვენ ორი ფრონტის წინაშე ვდგევართ, ერთი არის საგარეო ფრონტი, საფრთხე ოსმალეთის სახით, რომელიც ლ მობს ჩვენი ქვეყნის დაპყრობას. მეორე კი არის, შინაური სამოქალაქო ომი, ომი ძმათა შორის, რომელსაც ანარქია ჰქვიან. უნდა ითქვას, რომ ყოველივეს მხრივ ცუდ პირობებში გვიხდება მტერთან ბრძოლა, მაგრამ თუ ჩვენ, ამ.-კავკასიის ერის დემოკრატია ყველა ერთსულოვნათ დავირაზმებით, მაშინ გვაქვს იმედი შინაურ და გარეშე მტერსაც გაუმკლავდებით, შევძლებთ ჩვენი ქვეყნის დაცვას, ჩვენ არავის არ ვებრძვით, ჩვენ გვებრძვიან. ჩვენ არავის თავს არ ვესხმით, არამედ ჩვენ გვესხმიან თავს. ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა, ტერიტორია, მაგრამ ამავე დროს არც ჩვენსას დავუთმობთ. უნდა ვიცოდეთ, რომ თუ მტერმა წაგვართვა ბათომი, ეს კლიტე მთელი ჩვენი ამიერ-კავკასიისა, მაშინ ჩვენ ვერსად ვერ გავმაგრდებით, მეტი გზა არ გვექნება, მტერს უბრძოლველათ უნდა დავნებდეთ. და თუ ჩვენ დავიცავთ ბათომს, მაშინ შეგვეძლება თავიდან ავიცდინოთ ის საფრთხე, რომელიც ოსმალთა შემოსევით მოგველის. მძიმე და აუტანელი იქნება ჩვენთვის ის უღელი, რომელსაც აქ ოსმალები შემოიტანენ, ათასჯერ უფრო მძიმე—ვიდრე ეს იყო ნიკოლოზ მეორის დროს. ჩვენი ძალა დღით-დღე იზრდება. ამის თავდები თქვენაც ხართ, ამის უტყუარი თავდებია ერთ-სულოვანი გამოსვლა გურული მოხალისეებისა. ამ დღეებში მთელი ქუთაისის გუბერნია, ქართლ-კახეთი ფრონტისაკენ გამოეშურება.

ვლასა მგელაძეს უდროობის გამო არ ულაპარაკნია. მათ ინახულეს სხვა როტებიც; რაფიელ ჩიხლაძის სიტყვას ყველგან დიდის აღფრთოვანებით ხვდებოდენ ჯარისკაცები.

დ. ბაისოშვილი.

# ამიერ-კავკასიის სეიმი

17 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

აგრარული კომისიის სახელით ლაპარაკობს დ. ონიაშვილი. სეიმმა გამოსთქვა სურვილი—ამბობს ორატორი,—არ დარჩეს დაუმუშავებელი მიწა. ამისთვის კი საჭიროა საწარმოვო იარაღები. აგრარულმა კომისიამ დაადგინა კანონმდებლობითი წესით ჩამოერთვას მემამულეებს ინვენტარი და გადაეცეს იგი მიწის მუშებს კერძო საკუთრებათ ან დროებით სასარგებლოდ. ინვენტარის ფასს, რომელიც უნდა მიეცეს პატრონს, აწესებს შემთანხმებელი კომისია. დასასრულ, ორატორი კითხულობს კანონპროექტს. კანონპროექტი მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად.

სეიმი ერთხმად ამტკიცებს მთავრობის დადგენილებას, რომლის ძალით მიწათმოქმედების სამინისტროს ეძლევა 1,250 ათასი მან. მიწის რეფორმის განსახორციელებლად.

წაკითხულ იქნა ირ. წერეთლის, მ. არსენიძის, პირუმოვის და აგამალოვის მიერ ხელმოწერილი შეკითხვა მთავრობისადმი სადახლოში მომხდარ ამბების გამო. შემკითხველები მოითხოვდენ გადმოეცა მთავრობას ამ ამბების სრული სურათი, სტიქიური თუ ორგანიზაციული ხასიათი აქვთ მათ და რა ზომები მიიღო მთავრობამ ამის წინააღმდეგო.

მთავრობის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი თავის პასუხში ამბობს: 10 მარტს საღამოს მივიღეთ ცნობა, რომ სადახლოში შეიარაღებულმა მუსულმანებმა წაართვეს წითელ გვარდიელებს 60 ტყვიის მფრქვეველი. მოკლულია სადგურის უფროსი ჰელიძე და მთელი სადგური შეიარაღებულ ბრბოს ხელშიაო. ჩვენ მეორე დღესვე გავგზავნეთ იქ წითელ გვარდიელების რაზმი. გამოირკვა შემდეგი: როცა თფილისიდან გაემგზავრენ 10 წითელ გვარდიელი ტყვიის მფრქვეველით, სად. კუმისში ვაგონში შესულა 12 შეიარაღებული მუსულმანი. წითელ გვარდიელების შეკითხვაზე თუ ვინ არიან ისინი, მათ უპასუხეს, ჩვენ რკინის გზის დარაჯები ვართო. სადახლოში მათ გააჩერეს მატარებელი და დაიწყეს ტყვიისმფრქვევლების ვაგო-

ნიდან გამოზიდვა. წითელ გვარდიელებმა ამაზე პროტესტი განაცხადეს, მაგრამ მუსულმანებმა დაიტაცეს ტყვიისფრქვევლები და გაგზავნეს სოფლებში. სად. აითუნში ჩვენი რაზმი შეაჩერეს სომხებმა. თქვენ განზრახ მიეცით ტყვიისმფრქველები მუსულმანებსო და აყარეს იარაღი ჩვენს რაზმს. აქვე მოწვეულ იქნენ სომხების სოფლათ წარმომადგენლები და გადასწყვიტეს შეიარაღებული ძალებით წასულიყვნენ სადახლოში. ევ. გეგეჭკორი აღნიშნავს, სხვათა შორის, როცა შეიარაღებულ მუსულმანებმა მოსთხოვეს ტყვიისმფრქვეველები წითელ გვარდიელებს, ჩვენებმა მათ უჩვენეს თურმე დოკუმენტები და უთხრეს, ეს ომის საჭიროებისათვის მიგვაქვსო. მუსულმანებმა უპასუხეს, ტყვიისმფრქვევლების გამოგზავნა ჩვენ ადრე ვიცოდით, და თუ ის პირი, რომელმაც ეს თფილისიდან გვაცნობა მოგვცემს ნებას, მაშინ არ წავართმევთ ტყვიისმფრქვეველებსო. ჩვენ ვიცით, თუ ვინ აცნობა ეს მუსულმანებსო—ამბობს ე. გეგეჭკორი. მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ დამნაშავენი აღმოაჩინოს და შესაფერათ დასაჯოსო, შემდეგ ის აგვიწერს სადახლოში მომხდარ ამბებს დაწვრილებით, რაც უკვე იყო აღნიშნული ჩვენ გაზეთში. ჩვენ ვივლით წინანდელი გზით—განაგრძობს ორატორი—განვაგრძობთ ბრძოლას შოვინისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ. მთავრობამ დანიშნა საგანგებო საგამომძიებლო კომისია, დაადგინა: გაგზავნოს სადახლოში შერეული კომისია, რომელიც გამოარკვევს მუსულმანთა სოფლების ზარალს. ეს ზარალი უნდა ანაზღაურდეს და დამნაშავენი დაისაჯონ. ამათანავე უნდა აღვნიშნო ის გმირული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს წითელი გვარდია, ეს სიმშვენიერე ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიისა. წითელ გვარდიამ შესძლო წესრიგის დამყარება, იგი მოკლებულია ყოველგვარ ნაციონალისტურ იერს და სანამ წითელი გვარდია ჩვენთან არის, რევოლიუცია და ჩვენი ხალხის ბედი საიმედო ხელშია (ტაში).

იმართება კამათი. პირველათ ლაპარაკობს ირაკლი წერეთელი. (ირ. წერეთელის სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში ცალკე იბეჭდება).

**არუტინიანი** (დაშნ.) მენშევიკებს დღეს აქვთ საქმე ასეთ ამბებთან, ჩვენ კი საუკუნოების განმავლობაში განვიცდიდით მათ. სომეხ და მუსულმან ხალხთა შორის არ არის შუღლი, ეს მხოლოდ ზოგიერთ ჯგუფების საქმეა. რევოლიუციის დაწყებიდანვე მუსულმანებში თავი იჩინა იარაღის შეძენის და გზების დახურვის სურვილმა. ჩვენ არასოდეს არ ვდებდით ბრალს მუსულმანთა დემოკრატიას. ორატორს მოყავს მაგალითები, თუ როგორ უშლიდენ ხელს სომხის ჯარს თავის მოვალეობის ასრულების დროს და ამბობს, აქ დაპირისპირებულია ჯარი და შეიარაღებული ბრბო და არა ორი ერის დემოკრატიაო.

**რასულ-ზადე** („მუსავ.") სადახლოს ამბები ყველა ფრაქციებში გამოიწვევს გაკიცხვას. მუსულმანებს არავითარი მაქსიმალისტური მოთხოვნილება არა აქვთ, როგორც ეს წერეთელს ჰგონია. ისინი მოითხოვენ მხოლოდ იარაღს მილიციისთვის, რომ დაიცვან წესრიგი, მაგრამ არ აძლევენ. თუ სადახლოში დანაშაულობა ჩაიდინეს, ამას მთავრობა განიხილავდა და დამნაშავეებს დასჯიდა. მაგრამ აქ არ უნდა გაენადგურებიათ თვითნებობით მუსულმანთა სოფლები (გულისხმობს სომხების მიერ გადამწვარ სოფლიბს). აქ ყველა ერთნაირათ იცავს გლეხებისა და დემოკრატიის ინტერესებს და არ არის საჭირო ნოტაციების კითხვა. ჩვენ მენშევიკებზე ნაკლებათ არ ვიცავთ ამ ინტერესებს.

**ა. კანტემიროვი.** (მუს. სოციალ. ბლოკი). მუსულმანებს გვერდი აუარეს ფრონტზე დარჩენილ ქონების გაყოფის დროს, მათ არ მისცეს იარაღი. თუ ახალ მთავრობამაც ასეთი პოლიტიკა გაატარა, ჩვენ დავკარგავთ მუსულმანებში ნიადაგს. სომხის მასსას არ შეეძლო სადახლოში წასვლა, თუ ეს სხვის მიერ არ იყო მოწყობილი. დაშნაკელებმა განაცხადეს, რომ ისინი ატარებენ სოციალისტურ იდეების გავრცელებისათვის წამების ჯვარს. სოციალიზმი—ეს მათი იარლიკია, არსებითად კი დაშნაკციუთიუნი ნაციონალისტური პარტიაა.

გზათა სამინისტროს ყოფილი კომისარი მელიქ-ასლანოვი აღნიშნავს, თუ რა ზომებს იღებდა მთავრობა რკინის გზების დასაცავათ.

მეტათ შინაარსიანი და მჭერმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა მუსულმან **აგამალოვმა** (გუმეტი). მან ერთნაირათ გაილაშქრა როგორც დაშნაკელების ისე მუსავატელების წინააღმდეგ და აშკარა ჰყო მათი პოლიტიკის მავნებლობა. ორატორი აღნიშნავს, რომ ამ ორ პარტიათა წარმომადგენლები იცავენ მხოლოდ თავის ხალხს, თითქოს აქ ვექილები მოსულიყვნენ დამნაშავის დასაცავათო. მე მწამს,—განაგრძობს ორატორი, რომ სომეხს არ შეუძლია უმუსულმანოთ ცხოვრება და მუსულმანს კიდევ უსომხოთ. მუსულმანებს კონსტანტინოპოლი კი არ უშველის და სომხებს ინგლისი და საფრანგეთი: ამ ორ ერმა აქ, ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა გამოსჭედონ თავის ბედი. დაშნაკელებს და მუსავატელებს არ აქვთ არავითარი წარმოდგენა, თუ როგორ იტანჯებიან სომხის და მუსულმანების ქალები და ბავშვები. ჩემში პირდაპირ ზიზღს იწვევს, როცა ეს ვაჟბატონები ასე ფილოსოფიურათ იმართლებენ თავს. შემდეგ ორატორს მოყავს ქურდისა და მამალის ანეკდოტი და ამბობს, აი სწორეთ ეს კუდები მოსჩანს, როცა დაშნაკელები და მუსავატელები თავს იმართლებენო. დაშნაკელებსაც და მუსავატელებსაც დიდი ძალა აქვთ, ხალხი საუბედუროთ მათ გავლენის ქვეშ იმყოფება. ხალხი ერთმანეთს არ შეებრძოლებოდა, თუ არა ინტილიგენცია. ამიტომ, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა ხალხის, არამედ ინტელიგენციის შერიგებაზე. დაშნაკელებმა და მუსავატელებმა აღლონ ხელი თავის პოლიტიკაზე და მაშინ სომეხ-მუსულმანთა შორის ბრძოლაც არ იქნება (ტაში).

**ნოე რამიშვილი.** აქ ლაპარაკობენ, რომ ქონებისა და იარაღის განაწილების დროს მუსულმანებს გვერდი აუარესო. ეს არ არის ის ენა, რომლითაც უნდა ლაპარაკობდეს ხალხის წარმომადგენელი. ჩვენი მთავრობა თანასწორათ ურიგებდა ყველას იარაღს. სადახლოში მომხდარ ამბების მიზეზი არის პროვოკაცია. სამწუხაროთ ამ ამბებში მონაწილეობას იღებდა სომხის ჯარი. მთავრობა ამას მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და დასჯის დამნაშავეებს.

**ივ. ლორთქიფანიძე** (ს.-რ.) შეკითხვას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმ მხრით, რომ ჩვენ უნდა მოგვენახა დღეს აქ საერთო ენა. მაგრამ ამის მაგივრათ აქ ერთი მეორეს სდებენ ბრალს. ასე კი საკითხი არ გადაიჭრება. ვის შეუძლია უარჰყოს, რომ აქ მოქმედობს სხვისი ხელი. ყველა რომ ისე ლაპარაკობდეს, როგორც აგამალოვი, მაშინ საკითხიც ადვილათ გამოირკვეოდა. გარკვევით უნდა ითქვას აქ, უჭერთ მხარს მთავრობას, თუ არა. თორემ გამოდის, რომ მარტო ქართველები სცნობენ მთავრობის ძალა-უფლებას. არც დაშნაკელების და არც მუსავატელების განცხადებაში არ არის გულწრფელობა.

**ს. პირუმოვი** (ს.-დ.) აღნიშნავს, რომ მორალურათ დამნაშავენი არიან ის პირები, რომლებიც უნდობლობას სთესავენ ერთა შორის. რ. ზადე გვეუბნება, რა საჭიროა აქ ნატაციების კითხვაო, მაგრამ ინტერნაციონალურ პარტიის წარმომადგენელს არ შეუძლია ამ ტრიბუნიდან არ სთქვას, რომ სადახლოში პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. თქვენ თავს კი არ უნდა იმართლებდეთ, არამედ ერთხმათ უნდა გმობდეთ მომხდარ ამბებს. მაგრამ თქვენ ეს ვერ მოიმოქმედეთ ოთხი საათის განმავლობაში.

ა. კანტემიროვი და რ. ზადე იმეორებენ თავის სიტყვის მთავარ დებულებებს.

**ვ. ჯუღელი.** დღევანდელი დღე მეტათ მნიშვნელოვანი დღეა, ბოლო ელება ხელოვნურ დუმილს, რომელიც ფარავდა ღრმა წინააღმდეგობას და რამდენათ მალე მოხდება ეს გამიჯვნა ჩვენ შორის აქ, სეიმში, მით უკეთესია ამიერ-კავკასიის დემოკრატიისათვის. აქ სასოწარკვეთილებას, გაკვირვებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ჩვენ დიდიხანია ვიცოდით, რომ იმათი მოქმედება, ვინც აჩაღებს ბრძოლას სომხებსა და მუსულმანებს შორის, აქ, სეიმში ჰპოვებდა გამოძახილს. ეფენდიევს ისე არ შეეძლო ხელმძღვანელობა გაეწია სადახლოში მუსულმანებისათვის, თუ მას არ ჰქონდა განსაზღვრული მოვალეობა დაკისრებული. არც ექიმ მანთაშევს შეეძლო სომხების ხელმძღვანელობა და როცა ინტერნაციონალური პარტია ცდილობს მოარიგოს უბედური სომხის ხალხი და უბედური მუსულმანები, ჩვენ გვამტყუნებენ, ლაპარაკობენ ქონების განაწილებაზე, თითქოს ამ ნიადაგზე მომხდარიყოს სადახლოს ამბები. ცხადია, კანტემიროვი ან არ იცნობს საქმის ვითარებას, ან განზრახ ლაპარაკობს ასე. რევოლიუციის პირველ დღეებში დაღესტანის ოლქმა მიიღო 250 ვინტოვკა. მაშინ მუსულმანთა ოლქები მეტ იარაღს იღებდენ. ქუთაისის გუბერნიას მაშინ ერთი ვინტოვკაც არ მიუღია, და კანტემიროვმა და სულთანოვმა კარგათ იციან, რომ მუსულმანები შეიარაღებული არიან. არ შეიძლება ვინტოვკის სიყვარულით ავხსნათ სიცოცხლის განწირვა. არც ერთი სომეხი და მუსულმანი არ წავიდოდა საბრძოლველათ ვინტოვკისთვის. როცა ისინი პირისპირ შეხვდენ ერთმანეთს მიტინგზე, მათ დასწყევლეს ვინტოვკა, ჩვენ უნდა ვმუშაობდეთ მინდორში და ამის მაგივრათ კი სანგრებში ბრძოლა გვიხდებაო. და თქვენ, სოციალისტები (მიმართავს კანტემიროვს)—არაფერს ვიტყვი მუსავატელებზე—ეუბნებით დღეს ხალხს, რომ მენშევიკებმა და დაშნაკელებმა დაინაწილეს იარაღიო. თქვენი ასეთი სიტყვების შემდეგ ეფენდიევი კვლავ გაიმეორებს დარბევას და ჩვენ კვლავ მოგვიხდება მის წინააღმდეგ წასვლა. თქვენი ისრები, სულ ერთია, ჩვენ ვერ მოგვწვდება. და თუ ჩვენ დავმარცხდით, მაშინ დაიღუპებიან სომხებიცა და მუსულმანებიც. ჩვენ უნდა მოვსპოთ ნაციონალისტური სიმაგრეები, ისე არ არის ხსნა. სადახლოში ორივე მხრით მოხდა მობილიზაცია და ჩვენ მოგვიხდა მათი შერიგება. დემოკრატია ჩვენ, სოც.-დემოკრატებს კარგათ გვიცნობს. მაგრამ, საუბედუროთ სომხებში და მუსულმანებში ჩვენ სუსტნი ვართ. თქვენ თუ არ გინდათ თქვენი ხალხის დაღუპვა, აქ თავს კი არ უნდა იმართლებდეთ, არამედ უნდა სთქვათ, რომ არ დაუშვებთ პროვოკაციას. ამ შეხედულებით უნდა მიხვიდეთ ხალხთან და უთხრათ მას, რომ ვინტოვკის მაგივრათ გუთანი აიღოს ხელში. ამაში არის მხოლოდ ხსნა (ტაში).

კამათის შეწყვეტის შემდეგ მიღებულ იქნა მენშევიკების რეზოლიუცია: „მოისმინა რა ს.-დ. ფრაქციის შეკითხვა მთავრობისადმი სადახლოში მომხდარ ამბების შესახებ და მთავრობის პასუხი, ამიერ-კავკასიის სეიმი იწონებს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს, მის გადაწყვეტილებას საგამომძიებლო კომისიის დანიშვნის შესახებ, რომელიც გამოიძიებს მომხდარ ამბებს და პასუხის გებაში მისცემს დამნაშავეებს და გადადის მორიგ საქმეებზე.

მიღებულ იქნა ტიგრანიანის დამატება, რომ მთავრობამ მიიღოს ზომები ანარქიის ჩასაქრობათ, ვის მხრითაც არ უნდა იყოს ეს ანარქია გამოწვეული.

ვინ—სონ.

## ბოლშევიკურ რუსეთში

(პეტროგრადიდან თბილისამდე)

### შინაური ფრონტი.

ბოლშევიკურ რუსეთში მოგზაურობის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს შინაურ ფრონტზე გაჩაღებული სამოქალაქო ომი. ყოვლად შეუძლებელია ამ ფრონტის სტრატეგიული რუქის დახატვა.—ერთობ მოძრავია ეს ფრონტი, ხშირად იცვლება მისი მოხაზულობა. რკინის გზებზე ის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის და თქვენ არ იცით როდის მოაღდებიან შენს ვაგონს შეიარაღებულნი და გიბრძანებენ: ვაგონიდან გაეთრიეთ, აქ პოზიციააო.

**„ჩვენები ჩვენებს ჰკლავენ"**, ასე შეიძლება სამოქალაქო ომის დახასიათება. ეს სიტყვები ერთხელ პეტროგრადის ქუჩაში გავიგონე.

მაგრამ ბოლშევიკების მიერ გაჩაღებულ სამოქალაქო ომში არის თავისებური შინაური ლოღიკა. ეს უბრალოთ გამწვავებული **კლასობრივი ბრძოლა** კი არ არის, ვინაიდან ეს ბრძოლა არაფრით არ ატარებს კლასობრივ სახეს. ეს არც უბრალო **ანარქიაა**, რომელიც რევოლიუციის დაღუპვას მოასწავებს, ვინაიდან ბოლშევიკურ სამოქალაქო ბრძოლას ერთნაირი მწყობრი, ორგანიზაციული მუშაობის სახე აქვს. იყო ისეთი დრო, როცა ბევრს ეგონა, რომ პოლონელი ლეგიონების, უკრაინის, „გაიდამაკების" თუ ფინლიანდიის თეთრ-გვარდიელების წინააღმდეგ ბოლშევიკები იმიტომ იბრძვიან, რომ ბოლშევიკებს მიზნათ აქვთ დასახული სეპარატიული ტენდენციების გავლენით დანგრეული რუსეთი გააერთიანონო.

სამოქალაქო ომის ლოღიკა ჩამარხულია ბოლშევიზმის **აგრესიულ, შეტევითი ხასიათში.**

თავის ბუნებით ბოლშევიზმი მოკლებულია შემოქმედებითი ძალას. ის მხოლოდ ანგრევს. ბოლშევიზმის ქადაგება სიძულვილის ჩამოგდების და „ხელში ჩაგდების" ქადაგებაა. ამიტომ მისი სამოღვაწეო ასპარეზი იმ ტერიტორიაზე, სადაც ის გასტანდა მეტად შემოფარგლული რჩება. შეიძლება ბურჟუაზიის ღ ინტელიგენციის დარბევა, ქალაქზე კონტრიბუციის დადება, ქალაქის საბჭოთა და სასურსათო გამგეობათა გარეკა, უნივერსიტეტების, გაზეთების და კოოპერატივების დახურვა, ხალხის მტრების დახვრეტა-წყალში გადაყრა... შეიძლება სასახლეთა და მდიდრების ბინების დარბევა; დაბოლოს შეიძლება ღვინის სარდაფების დარბევაც, მაგრამ ეს საკმაო იქნება მხოლოდ რამდენიმე კვირის განმავლობაში. მერე რა? რა შეუძლია ამის შემდეგ ბოლშევიზმმა გააკეთებინოს თავის მიმდევრებს, როცა ეს პროგრამა სისრულეშია მოყვანილი?

არაფერს! ვინაიდან ამ შემთხვევაში პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი მებრძოლი ბოლშევიზმისა გაერთიანებულია. **სხვანაირი** პროგრამა ბოლშევიზმს არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

და ასე, როცა მორჩებიან საქმეს ქალაქში, სოფელში ან რომელიმე გუბერნიაში, მიეშურებიან იქ, სადაც ურჩობას იჩენენ ბოლშევიკების წინააღმდეგ „ხალხის მტრები". საჭიროა სამოქალაქო ომის ტალღები რაც შეიძლება ფართოდ მიდიოდეს ქვეყანაზე და სწორედ ეს არის ბოლშევიზმის პოლიტიკის ერთადერთი შესაძლებლობა.

პირველი გამარჯვება ბოლშევიზმს ოქტომბერში მიანიჭა პეტროგრადმა და მოსკოვმა, სამხრეთმა და რუსეთის შუაგულ გუბერნიებმა. ამ ადგილებში ბოლშევიზმი თითქმის უომრად დამყარდა. მაგრამ აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით რუსეთის ბოლშევიზმს მთელი რიგი დაბრკოლებებისა გადაეღობა. და ამ დაბრკოლებათა გადალახვა იმაზე უფრო საძნელო აღმოჩნდა, ვიდრე მოსკოვში იუნკრების დახვრეტა, ან დროებითი მთავრობის წევრების დატყვევება საზამთრო სასახლეში.

აღმოსავლეთში ე. ი., ციმბირში გლეხობას არც იმდენათ აწუხებს უმიწოობა, მემამულეები, ამიტომ მათში გასავალი არ დაურჩა ბოლშევიკურ აგიტაციას. აქ ბოლშევიზმი გამაგრდა მხოლოდ ქალაქებში და რკინის გზაზე, სადაც ათი ათასობით აღმოჩნდენ სისხლის სამართლის წესით გადასახლებულნი, რომლებიც ერთი თვალის დახამხამებაში გადაიქცენ „სოციალისტურ" წითელ გვარდიათ.

ვერც ურალში შესძლო ბოლშევიზმმა ფეხის მოკიდება. ვერც აქ შეეწყო ის ადგილობრივ უფლებრივ და სხვა დამოკიდებულებებს, ამ ნახევრად გლეხურ, ნახევრად მუშურ მხარეში, სადაც მცხოვრებლებმა სუსტად შეიგნეს „კომუნისტური რევოლიუციის" იდეები.

სამხრეთ-დასავლეთში თავისუფალი ყაზახები და „გაიდამაკები" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეებნენ ბოლშევიკებს. შემდეგში ეს ელემენტები იყვნენ, რომ გაამაგრეს არა თუ უკრაინის რადა, არამედ—მით ხელი შეუწყვეს უკრაინა გარეშე სახელმწიფოს დაეპყრო, რუსეთისთვის ჩამოეშორებინა ის და გაენთავისუფლებინა ეს მხარე ბოლშევიკი მძრავიოვის ბრბოებისაგან.

სამხრეთ-აღმოსავლეთში ბოლშევიკური ტალღა ყაზახთა სტანიცებს მიადგა; ყაზახები კი სრულიადაც არ არიან „სოციალისტურათ" განწყობილნი.

ოთხი თვის განმავლობაში მთელი რუსეთის ტერიტორიაზე გორავდა ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცების ტალღა. ამ ხალხს სხვა აზრი არ უტრიალებდა თავში გარდა იმისა, რომ სახლში მისულიყო, მოესვენა და დავიწყებისოვის მიეცა ყველა ის, რაც მან ნახა ან განიცადა. მაგრამ ვიღაცას ბოროტმა ხელმა ეს ხალხი გადააქცია დამრბევთა ბრბოთ, რაც ბოლოს უღებდა რუსეთს და რევოლიუციას გლეხთა და მუშათა მთავრობის დამყარების სახით. ოთხი თვის განმავლობაში სისხლის ნაკადი არ შეწყვეტილა რუსეთის შინაურ ფრონტზე. ბოლშევიკები თანდათან იპყრობდენ იმ გუბერნიებს და მაზრებს, რომლებმაც თავიანთი ნებით არ ისურვეს ბოლშევიკებს შეერთებოდენ.

სმოლნში გამაგრებული ბოლშევიკები იძულებული იყვენ რუსეთის დასაპყრობათ გაეგზავნათ მომხრეები, ვინაიდან ამ რაზმებისთვის ძარცვა-გლეჯის საშუალება უნდა მიეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს რაზმები სმოლნის წინააღმდეგ წავიდოდენ.

თავის განვითარების სამი საფეხური განვლო ბოლშევიზმმა. პირველათ ის იყო უხეში, დემაგოგიური იდეოლოგია მცხოვრებთა ბნელი ნაწილების მისწრაფებათა, მორალურ და პოლიტიკურ ხულიგანობის იდეოლოგია.

რომ ბოლშევიზმი არ დაღუპულიყო, ის ფართოთ უნდა მოსდებოდა მთელ რუსეთს და მთელი თავისი ძალა ეხმარა, რომ მის მონათესავე ძალებისთვის აღვირი წაეხსნა და სამოქმედო ასპარიზი გაეფართოებია. ამ აზრით გაილაშქრეს მათ დონზე, ირკუტსკზე, უკრაინაზე და სხვა. საკვირველი ის არის, რომ შინაურ ფრონტზე ყველგან იმარჯვებდენ ბოლშევიკების პოლკები.

ამ პოლკებში არც ალფრთოვანებას და არც დისციპლინას არავითარი ადგილი არ ჰქონდა. იქ თავს იყრიდენ ყველა ბნელი ძალები, რომელთაც აინტერესებდათ მათ მიერ დარბეულ ქალაქებიდან წამოღებული ნადავლი. ერთი სიტყვით, იგინი იყვენ ყაჩაღთა ბრბოები, რომლებიც წინანდელ ბრბოებიდან მხოლოდ მრავალრიცხოვანობით და შეიარაღებით განირჩეოდენ.

მიუხედავათ ამისა, ამ ჯარებს რჩებოდა გამარჯვება თითქმის ყველგან, იგინი ამარცხებდენ არა თუ უიარაღო მოწინააღმდეგეებს, არამედ ჯარის ნაწილებსაც. ამარცხებდენ მით, რომ მათი ჯარი მოწინააღმდეგეებზე მეტათ მრავალრიცხოვანი იყო. ამარცხებდენ და ამ დამარცხების დროს ნეიტრალურ მშვიდობიან მცხოვრებლებს შიშის ზარს სცემდენ თავიანთ სიმხეცით. ამარცხებდენ და მოწინააღმდეგეებში გახრწნა და უთანხმოება შეჰქონდათ.

დიახ, ამ ბრბომ შესძლო „ბოლშევიზმი" შეეტანათ უკრაინელთა ჯარებში, პოლონელთა ლეგიონებში, დონის და ყუბანის ყაზახებში და თითქმის გენ. ალექსეევის მოხალისეთა რაზმშიაც კი.

ბოლშევიკების რაზმში თვითოეული იბრძოდა თავისთვის, ფულისთვის, ნადავლისათვის, რომ შეძლება ჰქონებოდა ბრძანების, ხოცვა ჟლეტის, ძარცვაგლეჯის და შესაძლებელი ყოფილიყო ცხოვრების ბატონ-პატრონი გამხდარიყო. ხოლო მათ წინააღმდეგ გამოსული ხალხი კი წინ ეგებებოდა სიკვდილს ამა თუ იმ ნაციონალურ, კლასობრივ თუ პარტიულ იდეის გულისთვის. და აი, ხალხის დაცემის, ქვეყნის გახრწნის ასეთ დროს ბოლშევიზმი ეუბნება ამ ხალხს: —რისთვის იბრძოდით თქვენ? რისთვის იხოცავთ თავებს? უკრაინისთვის? დონისთვის? რუსეთისთვის? ეს ყველაფერი ბურჟუაზიის მოგონილია, მოდით ჩვენთან თუ გინდათ, რომ კარგათ იყვეთ.

და მათ წინააღმდეგ გამოსული პოლკები მათ უერთდებოდენ, მათკენ მიმართულ ზარბაზნებს ქალაქისკენ უბრუნებდენ პირს და ანადგურებდენ. და ყოველ ასეთ „მოღალატურ" ნაბიჯს ბოლშევიკების გამარჯვება თან მოჰყვებოდა. („ბ.")

ვლ. ვოიტინსკი.

(დასასრული იქნება).

## მშრომელის დელეგაცია ზემო აჭარაში

წინა წერილში ჩვენ ავწერეთ, თუ როგორ მიიღო და რა პასუხი მისცა დელეგაციას კინტრიშის რაიონის ქართველმა მაჰმადიანებმა. ამათმა პასუხმა ჩვენი წინასწარ აღებული აზრი გაჰვანტა და მეტად კმაყოფილი დაგვტოვა. ქობულეთის თათბირის შემდეგ კითხვა დაისვა—წავსულიყავით თუ არა აჭარაში. ბევრნი გვეუბნებოდენ, იქ წასვლა უბრალო დროს დაკარგვა იქნებაო. გადავწყვიტეთ ჩავსულიყავით ბათუმში და მოგვესმინა იქაური ამხანაგების აზრი. ბათუმში კი ის აზრი გამოითქვა, რომ წასვლა სასურველია, თუნდაც არავითარი სასურველი შედეგი ამას არ მოყვეს, ვინაიდან მომავალში ქართველი ხალხი პირნათლად გამოვა აჭარლებთანო.

9 მარტს გავუდექით გზას. ჩინებული ამინდი იყო. ავედით აჭარის წყალზე, სადაც ჩვენი ჯარი—ოფიცერთა რაზმი სდგას. ისინი შემოგვეხვივნენ და ცნობის მოყვარეობით გვეკითხებოდნენ: საზავო დელეგაციაზე; თავდაცვის სამზადისზე, ხალხის სულიერ განწყობილებაზე, ბათუმში მოგროვილ ჯარის რაოდენობაზე და სხვ. იქ ბევრი აღარ შეგვიცდია, გზას გავუდექით. დაახლოვებით ორი ვერსი გვექნებოდა გავლილი, როდესაც ჩემ გვერდში მჯდომმა შოფერმა ჩაილაპარაკა: „საზღვარზე მივედითო". მე დაკვირვებით დავიწყე წინ მდებარე გზის თვალიერება და შემდეგ შევეკითხე შოფერს: „საიდანა სჩანს, რომ საზღვარს მიუახლოვდით?". მან მიმითითა ორ ახალგაზრდა აჭარელზე, რომელნიც ჩვენს წინ გზის პირათ მოსჩანდენ და მითხრა: „აი მათი პატრულები". როცა პატრულებს დავუახლოვდით, იმათ ხელი მაღლა აიღეს და წინ გადაგვეღობენ. ავტომობილი გაჩერდა. მოვიდა ახალგაზრდა აჭარელი, ავტომობილში ჩამოიხედა და შემდეგ წასვლის ნება მოგვცა. ცოტა მანძილის გავლის შემდეგ კიდევ გაგვაჩერეს. აქ მათი სადარაჯო „პოსტი" იყო. ოცი თუ ოცდა ათი სხვადასხვა მოძველებული სისტემის თოფებით შეიარაღებული აჭარელი გზის მარჯვნით დაემწკრივებიათ. მათ, როგორც შევამჩნიეთ, ერთი ასკერი უფროსობდა. აქ ჩვენ გულდასმით გაგვჩხრიკეს და გაგვიშვეს. ამის შემდეგ დაუბრკოლებლივ მივედით სოფ. ქედაში. დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ჩვენ წაგვიყვანეს სკოლის შენობაში. გზაზე ხალხი ცნობის მოყვარეობით გვათვალიერებდა, მაგრამ წეს რიგის დამცველნიც ბლომათ იყვენ, რომელნიც ხალხს არ აძლევდენ ჩვენს ირგვლივ შეჯგუფების ნებას. სკოლის წინ შემოგვხვდა ჯამალ ბეგი, რომელმაც სალამის შემდეგ სკოლის აივანზე მიგვიწვია. კიბესთან მისვლამდე გზის ორივე მხარეს ჩაემწკრივებიათ შეიარაღებული რაზმი. თოფები აქაც სხვადასხვა სისტემის იყო. აქა იქ რუსული ვინტოვკებიც მოსჩანდა; ჩვენ ამ ორ წყებას შორის გავიარეთ და სკოლის აივანზე ავედით. ხალხი აივანის წინ მოგროვდა. პირველათ მათ სიტყვით მიმართა დელეგატმა **იულო რამიშვილმა.** ორატორმა თავის სიტყვაში გაატარა აზრი, რომ ქართველები და აჭარლები ერთი სისხლის, ერთი გვარტომის არიან, რასაც ენა ამტკიცებს. ქართველებს სურს, გაიგოს რას ფიქრობს აჭარა, როდესაც საქართველოს განსაცდელი მოელის. ორატორმა სიტყვა დააბოლავა მოწოდებით: „გაუმარჯოს ჩვენს ერთობასო".—„არ გვინდა თქვენთან ერთობა"—იგრიალა უცებ ხალხმა. მოლაპარაკე სახტათ დარჩა.

ლაპარაკობს **ირ. ამირეჯიბი.**—ის ამბობს: „თქვენ ორი ძმა გყავთ, ქართველები ეროვნებით და თურქები რჯულით. თქვენ თოფი არ უნდა ესროლოთ არც ერთ ძმას და არც მეორეს. ჩვენ ყოველთვის თქვენთვის ვზრუნავდით და შემდეგშიაც ვიზრუნებთ. ჩვენ გვეშინია, რომ თქვენი ქვეყანა ომისაგან არ აოხრდეს და სხვ. მოუწოდებს ხალხს გონიერებისაკენ.

გამოდის ერთი აჭარელი და შემდეგს ამბობს: სიტყვები ბევრი ითქვა ჩვენში, მაგრამ მარტო სიტყვებმა არაფერი არ გაგვიკეთა: ჩვენ ადამიანათ არ გვაგდებდით. როდესაც ადამიანი იძულებული გახდება, ცხოვრებაზე ხელს აიღებს. ეხლანდელი მთავრობა ძველზე უარესი გამოდგა. აჭარლებს, თქვენთვის არასოდეს არაფერი არ დაუშავებიათ. თქვენ კი არაფრათ არ გვაგდებთ. მთელი ქონება თქვენ ჩაიგდეთ ხელში: ხაზინა, თოფები, ზარბაზნები, ქალაქები—ჩვენ კი არაფერი არ მოგვეცით. გვითხარით, რა დავაშავეთ? რათ შეაწუხეთ დღეს ამდენი ხალხი თქვენი მოსვლით? ყველა ჩვენ ვამბობთ დღეს, რომ ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, თქვენმა წინამძღოლებმა მოამზადა ნიადაგი, რომ ხალხი ამ ზომამდე მისულიყო. ჩვენი ბრალი არ არის. ქონება, ხაზინა შეჭამეთ, თოფზარბაზნები დაირიგეთ. ჩვენ რა შეგვხდა აქედან? არაფერი! პოზიცია ტრაპიზონს იქით იყო, აქედან 300 ვერსზე, იქ ვერ დაიცავით, და ეხლა გინდათ ჩვენი ქვეყანა ბრძოლის ასპარეზათ გახადოთ. ჩვენ ამის ნებას არ მოგცემთ. ბათუმი ჩვენი იყო და ჩვენთვის უნდა გადმოგეცათ. ჩვენ მოვითხოვთ აჭარის წყალიდან ჯარი გაიყვანოთ, თორემ სისხლი დაიქცევა და ცოდვა თქვენ კისერზე იყოს.

**ამირეჯიბი** განმარტებას იძლევა, რომ ჯარი გროვდება ოსმალთა და „ჩეტნიკების" საწინააღმდეგოთ და მათ ამ მხრით არავითარი საფრთხე არ მოელის.

**რაფიელ ჩიხლაძე.**—მე, როგორც სეიმისა და დელეგაციის წევრს, მსურს ორიოდე სიტყვა გითხრათ იმის შესახებ, თუ რა უბედურება მოელის ჩვენსა და თქვენს ქვეყანას, თუ ჭკუით არ ვიმოქმედებთ. დღეს ამიერ კავკასია მოწყვეტილია რუსეთს და თავის ანაბარათ არის მიტოვებული. ამიერ-კავკასიის ყველა ერების დემოკრატიამ შექმნა მთავრობა სეიმისა და კომისარიატის სახით და მიანდო მათ ჩვენი ქვეყნის პატრონობა. ჩვენმა მთავრობამ პირველ რიგში მიზნათ დაისახა დაუყოვნებლივ საპატიო ზავის ჩამოგდება, ვინაიდან ომი ანადგურებს ქვეყნებს (აქ ორატორმა ომის საშინელების სურათი დაუხატა მსმენელთ). შეიმუშავეს ზავის პროგრამა, რომლითაც არც ოსმალეთს უნდა წაერთვას ადგილები და არც ჩვენ, ე. ი. დავრჩეთ ძველ საზღვრებში, რომელიც ომამდე იყო. ამ მიზნით სეიმმა აირჩია დელეგაცია, რომელშიაც მუსულმანების წარმომადგენლებიც შედიან და გაგზავნა ტრაპიზონში ოსმალეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლათ. (ისმიან ხმები: „ჩვენგან ვინ არის დელეგაციაში?)—თქვენი ერთმორწმუნე, ჰაიდარბეგ აბაშიძე. ვინ აირჩია? ის ხალხს არ აურჩევია. სოციალ-დემოკრატებმა აირჩიეს)—სეიმმა აირჩია. მიუხედავათ საზავო მოლაპარაკებისა, ოსმალეთი მოითხოვს დავცალოთ ბათუმი, ყარსი და არდაგანი. ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ და ზემო დასახელებულ ადგილებს ოსმალეთს არ დავუთმობთ. (ხმები: აკი რუსის მთავრობამ დაუთმო, თქვენ რა მოხელე ხართ. ეს ადგილები ძველათ ხომ ოსმალეთს ეკუთვნოდენ და ეხლა მას უნდა დაუბრუნდეს)—ჩვენ ვიცავთ იმ საზღვრებს, რომელიც ამ ომამდე იყო. მხოლოდ ეს იქნება სამართლიანი ზავი. როცა ჩვენ სახლში გვივარდებიან, იძულებული ვხდებით იარაღით თავი დავიცვათ. თუ დაგვიპყრეს ოსმალებმა, ჩვენი რევოლიუციაც დაიღუპება, ვინაიდან ოსმალეთი კულტურულათ ჩამორჩენილი სახელმწიფოა. იქ არ არის სწავლა-განათლება, თავისუფლება. ოსმალეთი ჩვენ წაგვართმევს თავისუფლებას, დაასამარებს რევოლიუციას, შეაფერხებს ჩვენს განვითარებას, ქობულეთიდან ჩვენ მივიღეთ ღირსეული პასუხი, რომელმაც ჩვენ გაგვახარა. თქვენგანაც მოველით პასუხს, რომელსაც ჩვენ მთელ საქართველოს შევატყობინებთ. რაც შეეხება აჭარის წყალიდან ჯარის გაყვანას, ამას ჩვენ ვერ დაგპირდებით, ვინაიდან ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჯარის გადაყვან-გადმოყვანის საქმეს განაგებს სამხედრო მთავრობა, რომელიც სტრატეგიული მოსაზრებით ხელმძღვანელობს. შეიძლება ეს ჯარები უფრო წინ წასწიონ, მაგრამ დარწმუნდით, რომ ჩვენი ჯარი თქვენდა სამტროთ არ მოდის.

ჩვენს მიწა-წყალზე ჯარის გატარების ნებას არ მოგცემთ—ამბობს ერთი აჭარელი—ჩვენ თუ გავნადგურდებით, შემდეგ ქვა ქვაზე ნუ ყოფილა. რუსეთის მონობიდან განვთავისუფლდით და ეხლა ჩხენკელის მონობაში ვერ შევყოფთ თავს. თქვენგან სიკეთე რა დავინახეთ, რომ ეხლა თურქებს ვეწინააღმდეგოთ. თავი მოგვაბეზრეთ იმის ლაპარაკით, რომ ჩხენკელმა ჩვენ გაჭირვების დროს დაგვეხმარა, მაგრამ ეს სიკეთე თქვენ ეხლა წყალში ჩაყარეთო!

ოსმალეთის ჯარს თუ მიიღებთო—ეკითხება ამხ. ჩიხლაძე.—არ მივიღებთო, უპასუხებენ, მაგრამ ის (ოსმალეთი) უფრო გვიყვარსო.

მათი ორატორები დაჟინებით მოითხოვენ აჭარის წყალიდან ჯარის გაწვევას. მოთხოვნილებას ულტიმატუმის ხასიათს აძლევენ

**ბ. მარგალიტაძე**—ჩვენ თქვენგან ვთხოულობთ, რომ ოსმალეთთან ბრძო-

ლაში ხელი არ შეგვიშალოთ. ღმერთმან ქნას, რომ იმი აგვშორებოდე', მაგრამ თუ იგი მოხდა, მაშინ გვინდა ვიცოდეთ, თქვენ გვიმტრობთ თუ არა? (ხმები: „თქვენი სიკვდილი მდ. ჩოლოქი იყო. ოსმალეთის ამ ადგილებისთვის თქვენზე უფრო სტკივა გული).

მხურვალე სიტყვით მიმართავს ამხ. ვლ. მგელაძე, რომელშიაც მოიგონებს მათ, თუ რა თავგამოდებით იცავდა ჩხენკელი მათ განსაცდელის დროს. მოუწოდებს დაიჭირონ ნეიტრალური პოზიცია და ამით აცდინონ განსაცდელი როგორც აჭარას, ისე საქართველოს.

დასასრულ ამხანაგი ჩიხლაძე ამშვიდებს მათ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობის ჯარი იქით ცუდს არაფერს ჩაიდენს, რასაც ჩადიოდა ძველი მთავრობის ჯარით. უსურვებს მათ გონივრულ ნაბიჯის გადადგმას.

ლაპარაკობს **ჯამალ-ბეგ ხიმშიაშვილი**. უმთავრესად იმეორებს იმავე ბრალდებებს, რაც ზევით მოვიხსენიეთ. ამბობს:—ხალხი მართალია, ვინაიდან ჩვენმა ახალმა მმართველებმა მიიყვანეს ამ ზომამდეო.

კრება ის-ის იყო უნდა გათავებულიყო, რომ მოვიდა ახალციხიდან გამოგზავნილი შიკრიკი: მოგვეშველეთ აჭარლებო, სომხის ჯარმა არტილერიით ჩვენი სოფლები გაანადგურესო. მათთან ერთად ქართველთა ჯარი მოქმედებსო. შიკრიკი რუსულათ და დაბალი ხმით ლაპარაკობდა. წინა რიგში მდგომებმა მოითხოვეს გამოცხადებით, რაში იყო საქმე. ამის გამოცხადება—წამლის საწყობში სპიჩქის გადაგდება იქნებოდა, მაგრამ, როგორც იყო მოხერხდა და ეს საჯაროთ არ გამოცხადებულა დელეგაცია გამოემშვიდობა კრებას და წამოვიდა.

ვიცი აქ მოთხრობილი ამბავი დაალონებს ქართველობას, მაგრამ ეს მწარე სინამდვილეა და მისი ხელის გადაფარება მეტ ზიანს მოგვიტანს, ვიდრე გამომჟღავნება. ჩვენ ვდგევართ ფაქტის წინაშე: აჭარა ჩვენს წინააღმდეგ ირაზმება და მზათ არის ოსმალთა ურდოებს ჩვენი ქვეყნის კარი გაუღოს. ამ ფაქტს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს ჩვენში არც გადაჭარბებული გულის წყრომა და არც სასოწარკვეთილება. საჭიროა ჩვენი მთავრობისაგან გაბედული, მაგრამ ფრთხილი ნაბიჯები. გონებრივ სიბნელით მოცული და სარწმუნოებრივი ფანატიზმით გაჟღენთილი აჭარის ხალხი **ბრმათ მისდევს თავის ბეგებს და ხოჯებს.** სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენ მათ ასეთ სულიერ განწყობილებას პროპაგანდა-აგიტაციით ჩვენდა სასარგებლოდ ველარ შევცვლით. საკითხს მხოლოდ რეალურ ძალთა დაპირდაპირება გადასჭრის. საბედისწერო წუთი დაუდგა ჩვენს დემოკრატიას. ის ღამის უკულტურო, ველურ ხალხთა ზღვაში ჩაიხრჩოს, მაგრამ ყოყმანი შეუძლებელია. უკან დასახევი ხიდები ჩატეხილია. ჩვენ მედგრათ უნდა გავიწიოთ წინ, უნდა მივენდოთ აბობოქრებულ ზღვის მშფოთვარ ტალღებს, ვინაიდან სხვა გზა არ არის. იქნებ არ გაგვწიროს ბედმა და მივაღწიოთ სანატრელ ნაპირს. და თუ დაღუპვა მოგველის, დეე დავიღუპოთ სახელოვან ბრძოლაში, როგორც შეფერის ჩვენს დემოკრატიას, რომელიც მუდამ მოწინავე როლს თამაშობდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

უ. ქარცივაძე

## ჯარისკაცთა წერილები

მართლაც რომ საბედისწერო დროს გვიხდება ცხოვრება. შიგნით ანარქია თანდათან ძლიერდება. მთავრობა ვერ ასწრებს ანარქიის ერთ ალაგას ჩაქრობას, როგორც ის სულ სხვა სახით ჩნდება მეორე ალაგას და ასე განუწყვეტლივ. შიგნით არევ-დარევას დაუმატოთ გარეშე საფრთხე, რომელიც გართულდა და გამწვავდა ბრესტის უპასუხისმგებლო ავანტიურისტების წყალობით და ჩვენ ნათლათ წარმოგვიდგება ჩვენი ყოფა-ცხოვრება.

ამ ჟამათ მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეულია გარეშე საფრთხეზე და უკანასკნელის თავიდან აცილებაზე დამოკიდებულია მომავალი ჩვენი კეთილდღეობა და ბედნიერება. მაგრამ არა ნაკლებ დაინტერესებული ვართ შინაური წესრიგის დაცვით და მშვიდობიან ცხოვრების მოწყობით, ვინაიდან ეს უკანასკნელი არის ნამდვილი თავდები საზღვრებზე ძლიერების და მტრის შემოტევაზე წინააღმდეგობის გაწევის. ამიერკავკასიასაც, რომელსაც ჯერჯერობით არ დაუსამარებია რევოლიუცია და თავი დაუღწევია განადგურებისაგან, შეიძლება ეწვიოს ისეთი ბედი, რანაირი ბედი ეწია რუსეთს, თუ ჩვენ ადგილობრივი მცხოვრებნი თვითონ არ მოვიწადინებთ და არ დავიცავთ ჩვენს მხარეს როგორც შიგნით, ისე გარედან განადგურებისაგან.

დღეს ყველა უნდა ნათლათ ხედავდეს იმას, რომ შინაური წესრიგის დარღვევა იყო უმთავრესი მიზეზი რუსეთის, ერთ დროს უძლიერეს სახელმწიფოს დაშლი-სა. და მგონია, ყველა საღი გონებით მოაზროვნე ადამიანი დაჰგმობს ასეთ მდგომარეობას და შეეცდება მთელი თავისი არსებით შეებრძოლოს ანარქიას და ეს აშოროს ჩვენს ამიერ-კავკასიასაც.

გადავავლოთ თვალი ამ ბოლო დროს მომხდარ ამბებს და დავინახავთ, რომ უკანასკნელებში მცირე მონაწილეობა არ მიუღიათ სახლში დაბრუნებულ ჯარისკაცებს. ლეჩხუმში მომხდარი ამბები საკმაოთ მოწმობენ ამას. „ჯარისკაცებმა მოაწყვეს ლეჩხუმში მოძრაობა, ჯარისკაცებმა ვერაგულათ მოჰკლეს ჩვენი ამხ. ლევან დადეშქელიანი“, ამოვიკითხე გაზეთებში. აი სანამდის მივიდა ადამიანების გახრწნა-დაცემა. ზოგიერთმა ჯარისკაცებმა კარგი ხანია, რაც ზნეობრივი სისპეტაკე დაჰკარგეს, წაბილწეს ის, მაგრამ უკანასკნელი ამბებით მთლად შეურაცხყვეს, დაასამარეს საერთოდ მთელი ჯარისკაცების პრესტიჟი. მე ვეკითხები ამ ხალხს: „ვინ ხართ თქვენ, ჯარისკაცის სახელს რომ ატარებთ და მის ნაცვლად რომ საქმე აკეთოთ,—ვინ იცის რაებს არ ჩადიხართ, სად დაკარგეთ ადამიანური სახე?“ მაგრამ მათგან რა ნაირ პასუხს უნდა მოველოდე! შეიძლება ამ ჯარისკაცებმა არ იციან, რომ თავისი მოქმედებით თავის თავს უთხრიან სამარეს და სხვებს არავის. დროა შეიგნონ, რომ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ მონაპოვარ თავისუფლებას არავინ შეგვარჩენს და ის ადვილათ გამოგვიხსლტება ხელიდან და განა თავისუფლებას ჩვენთვის დაკარგვა არ უდრის ჩვენ სრულ მოსპობას? დეე იცოდენ საცოდავებმა, რომ თავისუფლება არის უძვირფასესი განძი იმ ხალხისთვის, რომელსაც წილად ხვდა ეს ბედნიერება. თავისუფალი ქვეყანა არის ერთნაირი სამოთხე აქ დედამიწაზე და ეს ასე რომ არ იყოს ამდენი მსხვერპლი არ შეეწირებოდა რევოლიუციას, რომელმაც მოგვცა ეს თავისუფლება. ავაზაკებს, რომლებსაც დავიწყებიათ სინდისი, პატიოსნება, სამშობლოს სიყვარული, არ უნდა ქონდეს ალაგი თავისუფალ ქვეყანაში.

ოსმალები თავს გვესხმიან, ჩვენს განადგურებას, დაპყრობას ცდილობენ, ჩვენც ვეცადოთ საშინელება თავიდან ავიცილოთ და ეს ვაჟბატონები მის ნაცვლათ, რომ ხელი შეგვიწყონ და შინაური წეს-რიგის დაცვით ფრონტზე მყოფთ გული გაუმაგრონ, ოჯახის არსებობის უზრუნველყოფით დაამედონ, პირიქით თავის მოქმედებით ძირს უთხრიან დაწყებულ წმინდა საქმეს თავდაცვისა და ამით ღალატობენ ჩვენი მომავლის ბრწყინვალე იდეალების გამარჯვებას. ჩვენ კმაყოფილი ვართ ანარქიის ჩასაქრობათ მთავრობის მიერ მიღებული ზომებით და ასეთ საბედისწერო დროს საჭიროდაც მიგვაჩნია უსასტიკესი ზომები ყველა ჯურის ანარქისტების ასალაგმავათ ეხლავე, რომ მერმე გვიანი არ დარჩეს „თითზე კბენანი“.

ჯ-კაცი ვალიკო შრომიშვილი.

## სოც.-დემ. პარტიაში

**თბილისი.** 15 მარტს შესდგა მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა ახალ შემადგენლობის კრება. კრებას დაესწრო 14 წევრი. კრებას ხსნის ძველი პრეზიდიუმის წევრი ვ. ალიხანოვი. მან მისალმების სიტყვით მიმართა კრებას, მიაქცია კრების ყურადღება ძველი კოლექტივის უარყოფით მხარეს და მოუწოდა ამხანაგებ, რომ შეეცადონ აცდინონ ასეთი ნაკლი ახალ შემადგენლობას კოლექტივისა. დღის წეს-რიგში დასმული იყო პრეზიდიუმის არჩევა. კრება საჭიროთ სთვლის ამ არჩევნებს დაესწრას სრული შემადგენლობა წევრებისა.

შემდეგ აღიარებულ იქნა რამოდენიმე კომისიის აუცილებლობა და მათი მოვალეობა. შემდეგ მოხდა არჩევნები პრეზიდიუმისა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ვ. ალიხანოვი, თავმჯდომარის ამხანაგებათ ვასო ხარფუხელი და ვლასა ინწკირველი, ხაზინადრათ დავით პაპიშვილი, მდივნათ მიშა ნაკაიძე. კრება ავალებს ამხ. მიშა ნაკაიძეს იყოს რაიონულ-კოლექტივის წარმომადგენლათ თფილისის კომიტეტში, სანამ მოხდებოდეს საზოგადო კრება მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრებისა, სადაც არჩეულ იქნება თფილისის კომიტეტის წევრი. და ბოლოს კრებამ ყურადღებით მოისმინა პარტიულ გაზეთების დამტარებლის თხოვნა ჯამაგირის მომატების შესახებ. კრება მას უნიშნავს 15 მარტიდან 150 მანეთს თვეში, თუმცა რაიონულ კოლექტივს ამ საქმის წარმოებიდან ამ ხარჯზე ნაკლები შამოსავალი აქვს.

ნა.

## პროვინცია

**ლაგოდეხი.** 11 მარტს შესდგა ლაგოდეხის რაიონის მეთამბაქოეთა კრება ამიერკავკასიის მეთამბაქოეთა ბიუროს წარმომადგენელ მ. ბუკიას თანადასწრებით. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: მოხსენება, სესხის მიღების საშუალება, ვის ეძლევა უფლება მეთამბაქოეთა კავშირში ჩაწერისა, საპროცენტო გადასახადი, თამბაქოს გაზიდვის წინააღმდეგ ზომები. ის შეეხო რაჭა-ლაგოდეხის მეთამბაქოეთა მდგომარეობას სთქვა: განუვითარებლობის ბრალია, რომ აქ ვერ გაარჩევ „ხაზეინს“ და მოწილეს; მათ მჭიდრო კავშირი აქვთ შეკრული, თუმცა ერთის ინტერესი მეორესას ეწინააღმდეგება. დღეიდან ეს კავშირი უნდა გაიხსნას და უნდა ცალ მხარეზე დადგეს „ხაზეინი“, მეორეზე მისი მოწილე. სესხის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატი დაპირებული ყოფილა ერთ მილიონ მან. სესხს; ლაგოდეხის რაიონს ერგება 200,000 მ., რისთვისაც უნდა შუამდგომლობა აღიძრას ადგილობრივი ბანკის საშუალებით. წევრთა მიღების შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან კავშირით უფრო დაინტერესებულია მოწილე, როგორც მისი ინტერესების დამცველი ორგანიზაცია, ამისთვის წევრთა ჩაწერის უფლება ეძლევა ყველა მოწილეს და „ხაზეინსაც“. თუ რომელიმე „ხაზეინი“ არ ისურვებს კავშირში ჩაწერას, მოწილე ცენტრალურ ბიუროსაგან გადაწყვეტილ ფასებში, დახარჯულ ფულში აძლევს თამბაქოს და დანარჩენი გაიყოფა თანასწორათ შუაზე.

საპროცენტო გადასახადი სხვადასხვა ხარჯების დასაფარავათ კრებამ გადასწყვიტა 2 კაპ., რომლიდანაც 1 კაპ. უნდა ცენტრალურ ბიუროს გაეგზავნოს. თამბაქოს გაზიდვის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან თამბაქოს გაზიდვას შეუძლია ზიანი მოუტანოს კავშირს, ამისათვის სრულიად აკრძალოს გაზიდვა. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მისი გაზიდვა ცენტრ. ბიუროს და ადგილობრივ საბჭოების ნებართვით და გაზიდული თამბაქო იქნება კავშირის თვალყურის ქვეშ.—შემდეგ კრებამ აირჩია რამდენიმე კაცისაგან შემდგარი სარაიონო საბჭო—გ. ჩიკვაიძე, ქემაშვილი, ნ. ნადირაშვილი, ნ. კიკილაშვილი, გ. დონჯაშვილი, გ. ხეჩატუროვი, გ. ყარალაშვილი, ი. მოლაშვილი, ი. შოშიაშვილი, ვ. ლომიძე და ლ. მაჰავარიანი.

ამ კრებაზე ბევრ „ხაზეინს“ სურდა ხალხის შეცდომაში შეყვანა, მაგრამ იმედები გაცრუებული დაურჩათ.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი გლეხები ნდობით და ერთგულათ მოეკიდებიან ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას და არ წაეგებიან თავისივე მტრების ანკესზე. გლეხებმა კარგათ უნდა იცოდენ, რომ მხოლოდ ასეთ კავშირს შეუძლია მათი ინტერესების დაცვა. ძალა ერთობაშია და გლეხებიც უნდა მჭიდროთ შეკავშირდენ ამ ორგანიზაციის გარშემო.

გ. ჩიკვაიძე.

**ნატანების რაიონი** (გურია). გულით მონდომებული ვიყავით, რომ რომელიმე პოლიტიკური, განსაკუთრებით კი სოციალისტური პარტიის, კინკლაობაზე არ გვეპასუხა ისეთ დროს, როდესაც განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლო და თავისუფლება მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, ყველა პოლიტიკურ პარტიებს, რომ ის გამოიხსნან მტრისაგან. ასეთ დროს საჭიროთ მიგვაჩნდა შეკავშირება თავისუფლების და თავდაცვის დროშის ქვეშ და ერთად გავლა იმ საშიშარი გზის, რომელიც კიდევ დიდხანს გვაქვს სასიარულო, მაგრამ, საუბედუროთ, ეს ყველა დაგვავიწყდა. გაზეთ „სოციალ.-რევოლიუციონერ“-ის მე 93 ნომერში მოთავსებულია მეთვალყურის კორესპონდენცია. მეთვალყურე ყოველივე ღონისძიებას მიმართავს და უდანაშაულოთ, უსაფუძვლო ბრალს სდებს რაღაც ცოდვებში ნატანების რაიონის განსაკუთრებით მიქელგაბრიელის საზოგადოების მენშევიკებს; მის წამოყენებულ ბრალდებებს არ მოვიყვანთ აქ, ვინაიდან ეს ბრალდებები ყველა უსაფუძლოა.

ვეკითხებით ბ. მეთვალყურეს: რად დაჭირდა ასეთი ბრალდებებით გამოსვლა მენშევიკების წინააღმდეგ და ან სად მოაგროვეთ ამოდენა ბორები? რად უნდა აგაღელვოს იმ მოვლენამ, თუ მენშევიკები თავის პოზიციას მხნედ დაიცავენ. მუნიციპალიზაცია რომ მიიღეს და სოციალიზაცია უარყვეს მენშევიკებმა ეს ხომ არ გწყენთ? ნურას უკაცრავათ, თუ თქვენი სოციალიზაციით ვერ მოხიბლეთ ჩვენი ხალხი, თუმცა მუნიციპალიზაციის ჩასაქოლათ ძალიანი ამხედრეთ ჯარისკაცები, მაგრამ ისინიც მიხვდენ, რაშიაც იყო საქმე. კრიტიკა ჩვენ გვესმის საფუძვლიანი, მაგრამ თქვენ რომ „კრიტიკას“ ეწევით ასე განა შეიძლება? კარგი იქნება თუ ასეთ კინკლაობას თავს დაანებებთ და გარედან მომდგარ მტრისგან თავდაცვის საქმეში თქვენს წვლილსაც შეიტანთ. ჯერ ჯერობით მეტს არაფერს გეტყვით.

ია—ძე.

**ახალქალაქის რაიონი** (გორის მაზრა). სოფელ ახალქალაქში თორმეტ მარტს მოწვეული იყო მთელი რაიონის მოქალაქეთა ყრილობა. ამ დღეს მოელოდნენ თბილისის გუბერნიის კომისარს ქ. ჯაფარიძეს. ამ დღეს დილიდგანვე დიდძალი ხალხი მოვიდა.

თერთმეტ საათზე მოვიდენ ქ. ჯაფარიძე, ვასო ცაბაძე და ვანო დურგლიშვილი. ამ დროს უკვე აუარებელ მოქალაქეთ მოეყარათ თავი მთელი რაიონიდან დროშებით და წითელ გვარდიელთა რაზმებით. მცირე თათბირის შემდეგ რაიონის წარმომადგენლებთან გაიხსნა მიტინგი. რასაც ექვს ათასამდე კაცი და ქალი დაესწრო. თავმჯდომარეთ კრებამ ნ. კ—ი აირჩია.

პირველად სიტყვა მიეცა გუბერნიის კომისარს, რომელიც შეეხო საერთოდ თანამედროვე მომენტს, აუხსნა ხალხს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მოელის ოსმალეთის მხრივ მთელ კავკასიას და ქართველ ხალხს და ამ საფრთხის თავიდგან ასაცილებლათ მოუწოდა დამსწრეთ მხარი დაუჭირონ მთავრობის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას და მის ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუწყონ, რადგანაც აუცილებლათ საჭიროა რეალური ძალის—ჯარის შექმნა ოსმალეთის საფრთხის თავიდან ასაცილებლათ და დემოკრატიულ ზავის შესაკვრელათ, ურომლისოდაც ხელიდან წაუვა ხალხს მიწაც და თავისუფლებაც. მიწის საკითხის შესახებ კომისარმა ილაპარაკა იმ კანონის შესახებ, რომელიც სეიმმა მიიღო. ამან გამოიწვია მოქალაქეთა მხრივ შეკითხვები. უმთავრესად უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ იმ ნორმის შესახებ, რომელიც კანონის ძალით მემამულეთ უნდა დარჩეთ. ამხანაგებმა აუხსნეს, რომ რაკი მთელი ადგილ-მამული კანონის ძალით მთლათ ხალხის მიერ არჩეულ მიწის კომიტეტების ხელში გადავიდა, ისინი ისე გაანაწილებენ ჩამორთმეულ მიწებს, როგორც მოისურვებს მშრომელი გლეხკაცობა, ბატონობა კი კანონის ძალით სრულიად გაუქმებულია. კომისარმა აღუთქვა ხალხს, რომ სულ ახლო მომავალში სეიმი გამოგზავნის მცოდნე პირებს, რომლებიც საადგილ მამულო კომიტეტების დახმარებით მოაწესრიგებენ მიწის საქმესო. ილაპარაკა ამხ. ვანო დურგლიშვილმა და ბოლოს ამხ. ვასო ცაბაძე შეეხო ვრცლათ დღევანდელ მომენტს და იმ მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია დაგვიანება იმ საკითხების გადაჭრას და ცხოვრებაში გატარება, რომლებიც წამოაყენა რევოლიუციამ. რუსეთში ბოლშევიკურ მთავრობის მოღალატურმა მოღვაწეობამ გამოიწვია როგორც რუსეთის დანაწილება, დაუძლურება და რევოლიუციის დაპარცხება, ისე კავკასიის საფრთხე და მისი გამოცალკევება რუსეთისაგან და ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკათ აღიარება. გარეშე და შინაურ საფრთხის ასაცილებლათ მან აღიარა აუცილებლივ საჭიროებათ რეალური ძალის შექმნა ჯარის და წითელი გვარდიის სახით. წაკითხულ იქნა გურულების მოწოდება ქართველთადმი. დაბოლოს გამოტანილ იქნა ამხანაგების მიერ შემუშავებული რეზოლიუცია, რომელიც მიტინგმა ერთხმათ მიიღო. მიტინგის შემდეგ ამხ. ქავთარაძემ გამართა თათბირი რაიონის ხელმძღვანელებთან მობილიზაციის, გვარდიის და მილიციის შესახებ, აღუთქვა მათ ყოველ მხრივ დახმარება და უსურვა ენერგიული მუშაობა.

გ—ი.

## წერილი რედ. მიმართ

„სახალხო საქმე“-ს 178 ნომერში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით: „სიღნაღის მაზრის კომისარიატის „მოღვაწეობა“ მოქალაქე ნ—სა.

ავტორს ძლიერ აწუხებს ს. დ.-ის გავლენა სიღნაღის მაზრაში. ნიშანში უმთავრესად ამოღებული ვყოფილვარ მე, როგორც კომისარი მაზრისა. სწერს: **მაზრის კომისარი ქუთაისში დასეირნობს, მხოლოდ ოცისთვის მოდის ჯამაგირის მისაღებათ, მთავრობის განკარგულებას არ ასრულებს, ხელს უწყობს ანარქიასა და სხვა ასეთი.** (ხაზი ჩემია). არც ერთი ამ ბრალდებათაგანი მართალი არ არის. რომ მე ჯამაგირისთვის არ ვმსახურებ—ეს მანაც კარგათ იცის; ისიც კარგათ იცის, რომ ქუთაისში არ დავსეირნობ და თუ კომისარიატში ხშირად ვერა მხედავს—ეს კი მართალია, რადგანაც მე ხალხთან მაქვს საქმე და არა გაყინულ კედლებთან. არც ყოფილა ისეთი დრო, მე კომისარიატი დამეტოვებინოს, რომ მოადგილე არა ყოფილიყოს შიგ. ანარქიის შემოჭრას სიღნაღის მაზრაში, თუმცა არა იმდენათ, როგორც სხვაგან, კომისარიატის უმოქმედობას აწერს.

პოლიტიკური ბალღი უნდა იყოს ადამიანი, რომ ანარქიის მიზეზად კომისარიატი დაასახელოს და გვერდი აუხვიოს პოლიტიკურსა და ეკონომიურს მიზეზებს რუსეთის რევოლიუციისას.

ერთი ტენდენცია ემჩნევათ საზოგადოთ ფედერალისტებს: როგორც კი პოლიტიკურ ცხოვრებაში სასწორი მარჯვნით იხრება—ისინი ს.-დ. ბის ლანძღვა-გინებას მოჰყვებიან ხოლმე, რომ ამით მათი პრესტიჟი ხალხში დასცენ. სამწუხაროდ მათდა, ეს განზრახვა არ მართლდება, რადგან ხალხმა კარგათ იცის მათი საქმენი საგმირონი. თუნდაც დღეს, განა ზოგიერთა მათი მიმდევრები სოფლად ხელს არ უწყობენ ანარქიის გაძლიერებას და სოციალ-დემოკრატების ჩირქის მოცხებას?!. იმდენათ დაუკვირვებელი ყოფილა მოქალაქე ნ—ი, რომ მაშინ, როდესაც მას მე ქუთაისში ვგონებივარ სასეირნოთ წასული, იქვე ახლო ბადიაურში ვყოფილვარ პროვოკაციის ჩასაქრობათ, მეზობელ ერთა შორის სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, რის მსხვერპლიც კინაღამ არ შევიქენი. ვეკითხები მოქალაქე ნ.—ს: ვინ ჩააქრო ბადიაურის პროვოკაცია? ვინ ჩააქრო ლაგოდეხის პროვოკაცია? ვინ ჩააქრო ყაზახის მაზრისა და სიღნაღის მაზრას შორის პროვოკაცია, მომხდარი ფედერალისტ ხუნაშვილის მეოხებით, რომელმა ხუნაშვილმაც ფედერალისტებისაგან მიღებული თოფი დაურიგა ქურდ ყაჩაღებს, ხალხის ნაძირალებს, შეკრა რაზმი და ამ რაზმის საშუალებით დასტაცა საქონელი ყაზახელებს დასახოცათ და შესაჭმელათ და არა საბადლოს მიზეზით იყო წამოყვანილი, და თუნდაც საბადლოთ წამოეყვანა პროვოკატორ ხუნაშვილს განა შეიძლება საბადლოს წამოყვანით ყაჩაღთა ბრბოს მიერ ერთა შორის კეთილი განწყობილება დამყარდეს?! ორივე მხრიდან ამ პროვოკაციამ თავი მოუყარა შეიარაღებულ ძალას და კინაღამ ერთმანეთი არ ამოწყვიტეს.

იცის მან ეს? არა. რომ სცოდნოდა, ასეთ სიყალბეს არ დასწერდა ჩემზე. მაგრამ ცხვირს იქით რომ კაცი არ გაიხედავს, იმას ყველაფერი უკუღმა ეგონება.

ვანო ნაცვლიშვილის ხსენებით მე მგონი თავის თავი უფრო გაიმტყუნა, ვიდრე მე, რადგან ხალხმა კარგათ იცის როგორც იყო საქმე. მე არა მაქვს არც დრო, არც საჭიროთ ვთვლი ყოველივე სიყალბეზე პასუხი გავცე. მოვაგონებ მხოლოდ, რომ არც ერთი კრება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა არა ყოფილა, რომ ჩემი მოქმედება მადლობით არ დაედასტურებინოს. პირველ მარტს მოხდა ეროვნული საბჭოს კრება, რომელსაც, მგონი, თვით ავტორიც დაესწრო გამომიცხადა თუ არა ნდობა საზოგადო კრებამ? დიახ, გამომიცხადა. აითივე ნდობა გამოუცხადა ჩემს მოღვაწეობას იმ პარტიამ, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ. მაგრამ ეს ყოველივე ავტორისათვის უმნიშვნელოა, ვინაიდან მას სურს ჩემი გაშავება ხალხის მასაში, მაგრამ ის კი არ იცის საწყალმა, რომ ამით თავის თავი უფრო გაიწბილა, ვიდრე მე, რადგანაც ხალხმა კარგათ იცის რას ვაკეთებ, ან რა ვარ მათთვის, ან ვის ინტერესებს ვიცავ. რომ მკითხველი არ დავღალო ზედმეტი უბრალო ლაპარაკით წინადადებას ვაძლევ მოქალაქე ნ—ს აიხადოს პირბადე, გამომყვეს სამედიატორო სამართალში და დაამტკიცოს წამოყენებული ბრალდებანი. მოწმეთ მოვიყვან ხუთივე რაიონიდან იმ პირებს, ვისაც ის დაასახელებს. და თუ ვერ დაამტკიცა—ნებას ვაძლევ ჩემს თავს შესაფერი სახელი ვუწოდო მას. დღიდან გამოცხადებისა ვაძლევ ერთი კვირის ვადას თავის თანხმობის გამოსაცხადებლათ, რის შემდეგაც დავასახელებ ჩემს მედიატორებს.

სიღნაღის მაზრის კომისარი
პარმენ გელაშვილი.


**ექიმი ვ. ვ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
**დ. ი. ქორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
**გ. გ. მუხრანბიანისა**
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ფილტვით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსონვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
**კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28

ექიმი
**ვ. ვ. კლდიაშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი
**გ. დონხინი**
ყოფილი იასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ნაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი
**დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ექიმი ქ. ი. მვარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვიქტორიის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ნ. ლ. ცერიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
იღებს ყოველ-დღე შინაგან, საბავშვო, საშვილოსნოსა და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

**ექიმი გ. გ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.


## მოწოდება

ძვირფასო ამხანაგებო!

შეუსაბამო საგამომცემლო პირობების გამო პირველი იანვრიდან არსებობა შესწყვიტა ჩვენმა საყვარელმა ჟურნალმა „ეშმაკის მათრახმა“. „ეშმაკის მათრახი“ აღარ გამოდის, მაგრამ მისი ხანგრძლივი შეწყვეტა შეუძლებელია. „ეშმაკის მათრახმა“ უნდა იარსებოს. ამას გრძნობს ყველა ჩვენგანი. საჭიროა მხოლოდ ეს გრძნობა კიდევ გავაღვივოთ და ჟურნალის განახლების საქმე სინამდვილეთ ვაქციოთ.

მრავალი წერილები მოგვდის ამხანაგებისა და თანამგრძნობებისაგან: ყველანი ერთხმათ მოითხოვენ ჟურნალის გამოცემის განახლებას და მზათ არიან სათანადო დახმარებაც აღმოუჩინონ მას.

ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილშობილ სურვილს „ეშმაკის მათრახის“ მკითხველებისას და ვკისრულობთ საჭირო ფონდის შედგენას, ურომლისოდ ჟურნალის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენზეა დამოკიდებული „ეშმაკის მათრახის“ განახლების საქმე. მაშ ნუ დააყოვნებთ დახმარებას.

ფულის მოკლე ანგარიშები დაიბეჭდება გაზეთ „ერთობა“-ში, ხოლო სრული სია შემომწირველთა გამოქვეყნდება თვით „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Тифлисъ редакція „Эртоба“ почт. ящ. № 199 для „Эшмакисъ Матрахи“.

ამხანაგური სალამით „ეშმაკის მათრახი“-ს ფონდის გამაძლიერებელი კომისია.

ს. რადიკ-ნიშნიძე სტამბა როჟბაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.